

3-17Q
1936.

საქართველოს
განათლებლის
მინისტროს

2
4



ს ი ო ნ ე რ ი

1 * 2 * 3 * 6

„პრონერი“

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და

საქ. განსახორმის ერთთვი-

ური ჟურნალი

№ 4

აპრილი—1936

წელიწადი მ-11

საქ. კ. ვ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა

„კომუნისტი“

რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34

ტელ. № 3-02 61

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. გაზაფხული. (ლექსი)—არნო ონელია 1 გვ.
2. ბედნიერი ეფერი—ლ. გეგეჭკორისა 1
3. პატარა დეღეგატი (ლექსი)—გ. ესებუასი 4
4. ლ: ტოლსტოის არქივიდან—ეკატერინე გაბაშვილისა 4
5. მერცხალი (ლექსი)—დ. შამათავასი 7
6. მდინარე ნილოსი—შ. მარჩანიშვილისა 8
7. როქოები (მოთხრობა)—შ. თაბუკაშვილისა 11
8. ლელა და ბუბა (მოთხრობა)—შიშქრალისა 14
9. ფრიადოსანი გოგონა (ლექსი)—ჭ. პეტრიაშვილისა 19
10. გენრი სტენლის ცხოვრება და თავგადასავალი—ნ. ლორთქი-
ფანიძის თარგმანი რუსულიდან 19
11. ბაყაყებმა გააჩერეს მატარებელი—ნ. ქოჩიაშვილისა 23
12. შურთხი და ჯიხვი 24
13. საოცარი ხეები 24
14. რებუსი—მედგენილი გ. ლოლობერიძის მიერ... გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხ. ს. გაბაშვილის, ს. ქოჩიაშვილის და
შ. ბერიტაშვილის მიერ.



მეგობრული

არნო ონელი

გაზაფხულდა. მზის კოცონით
დედამიწა გათბა, მოლბა;
დგას ტყემალი თავმომწონედ,
ვით გაშლილი თეთრი ქოლგა.

ტყეში წასვლა გაიოლდა,
ნაკადული აღხენს ყველას.
აგერ ქუდით მწვანე მოლთან
გელა იჭერს კრელ პეველას.

დაკრეფე იას და ენქელას,
იასამანს დაკრეფე ბლოჰად,
იკოცხლოს და იდღეგრძელოს,
გაზაფხულის მზემ და შრომამ.

შარაგზები გააშრო მან,
აამწვანა ბალი, ყანა,
მკლავში ჯანი დააგროვა,
გული ფოლადს დაამგვანა.

ცვარმა ზვარი გადაბანა,
ნიავი კი ლამაზ მდელოს
უთხზავს ჰანგებს, უთხზავს ნანას
საგმიროს და სასახელოს.

და დღეს სწავლა რომ ემნელოს-
კიდევ არის ვინმე განა?
იკოცხლოს და იდღეგრძელოს,
ვინც ამ მზეში მოგვიყვანა!

ბერნიერი ეთერი

ლალო გეგეჰორი

მატარებელი მოსკოვის მიუახლოვდა. ყველაზე
შეტად ეთერი ღელავს, საქართველოს დღეღვა-
ტებში ის არის ერთადერთი მოზარდი. იგი ვა-
გონის ფანჯარას არ შორდება, ცნობისმოყვა-
რეობით უცქერის მოსკოვის განაპირა მდიდარ
და ფართო მიდამოს, ფაბრიკა-ქარხნებს, სხვა-
დასხვა საწარმოს. ცდილობს მხედველობიდან
არაფერი გამოეპაროს, ყველაფერი აღბეჭდოს,
რომ დაბრუნებისას დაწვრილებით უამბოს თა-
ვისი შთაბეჭდილებანი ტფილისელ ამხანაგებს.

— როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამხ. ლ. ბე-
რიასთან მეც ვიქნებოდი საბჭოთა საქართველო-
დღეღვატი. კრემლში ამხ. სტალინის სიტყვა-
ვეტყული საქართველოს პიონერ-მოწაფეთა სა-
ხელით... უჰ! ეს რა უსაზღვრო ბედნიერებაა! —
ფიქრობს ეთერი და აღტაცებული გასცქერის
მოსკოვის ლამაზ მიდამოებს.

რაც უფრო ღრმად შევიდა მატარებელი
მოსკოვში, მით უფრო დიდი სახლები, ფართო
ქუჩები და ბაღები მოჩანს.



— მოვემზადოთ, მატარებელი მალე შევაკურსკის სადგურში, — გადასძახა ამხანაგებს ერთ-მა დელეგატთაგანმა.

ორთქლმავალმა ერაზელ კიდევ უკანასკნელად დაიკიეღა და სადგურში მძიმე ქმუნით შეგორდა.

ყვავილებითა და წითელი დროშებით მორთული ათი ავტობუსი და ხუთი მსუბუქი ავტოზემიით მიაქანებს საქართველოს დელეგატებს ქალაქის ცენტრში მდებარე კავშირების მესამე სახლისაკენ.



თბილი მზიანი დილაა.

ზის ეთერი ავტოში და ვერ ისვენებდა. ტაგს, გული ვერხვის ფოთოლივით ლავს, ცდილობს ყველაფერი დაათვალიეროს, ყველაფერი ნახოს: ფართო ქუჩები, ბაღები, ათ და თორმეტსართულიანი სახლები... ყველაფერს თვალთ ყლაპავს...

ერთი, ორი, სამი, ოთხი... შეიდი... ათი, თორმეტი, — ითვლის ეთერი და უკერს — ასეთი დიდი სახლები რა ხელებმა ააშენა, რომელმა მშენებლებმა შეძლეს მათი აგება?!

სალამოა. მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა. კრემლი სახეიმოდაა მორთული; მისი ქუჩები მზიარულად ესაღმებთან. და ფიანდაზად ფეხქვეშ ეგებიან ორდენოსან საქართველოს მოწინავე აღამიანებს. დელეგატები ათვალეირებენ კრემლს.

ეთერი აქაც ყველაფერს ცნობისმოყვარეობით ათვალეირებს. დარბაზში ყველა თავისთვის მიჩენილ ადგილზე ჯდება. ეთერი ყველაზე წინ დაჯდა, ტრიბუნის ახლოს. უხარია, რომ დიდ ბელადს ნახავს, მიესალმება. იგი აქაც დღევას, ვერ ისვენებს.

აგერ, გამოჩნდენ სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, ვოროშილოვი, კავანოვიჩი, მიქოიანი... იგრილა ტაშმა, ყველანი ფეხზე დგებიან: „ურა“, „ვაშა“ — გაისმის დარბაზში. ეთერმაც დაუკრა ტაში და ხმაბალა შესძახა:

— ვაშა, გაუმარჯოს ხალხის საყვარელ ბელადს სტალინს, მოლოტოვს, ორჯონიკიძეს, ვაშა! ვაშა! ვაშა!

როცა ეთერის მისაღმების დრო მოვიდა, ის ჩიტივით აფრინდა ტრიბუნასთან და წკრიალა ბავშური ხმით მიმართა ბელადს.

— საქართველოს პიონერებისა და ბავშვების სახელით სალამს გიძღვნით ხელმძღვანელებს! განსაკუთრებული მზურვალე სალამი ჩვენს საყვარელ, შობილიურ, დიდ სტალინს! (ყველანი ფეხზე დგებიან და იხახიან „ვაშა დიდ სტალინს!“).

— ჩვენ გვინდა გავხდეთ ისეთი მუცნიერები, — განაგრძობს ეთერი, როგორც მიჩურინი, „შიდტი, პავლოვი, ჩვენ გვინდა ვიყოთ სოციალიზმისათვის ისეთი მამაცი მებრძოლები, როგორც სტახანოველები, აღზრდილი თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით, ამხ. სტალინ! ჩვენ ეს გვინდა და კიდევაც მივალწევთ; საბჭოთა ქვეყნის



ეთერი ხელს ართმევს ანხ. სტალინს

ბავშვები—ეს ახალგაზრდა ბოლშევიკებია, ხოლო ბოლშევიკები მუდამ აღწევენ იმას, რაც საჭიროა. მაღლობას გიძღვნი, ამხანაგო სტალინ, ბედნიერი და სიყვარულით აღსავსე ცხოვრებისათვის!

პირობას ვიძლევიტ ვისწავლოთ ისე კარგად, რომ თქვენ, ამხანაგო სტალინ, გვითხრათ: ჩინებულია, ახალგაზრდებო!

— გაუმარჯოს ბავშვთა საყვარელ მეგობარს, დიდ სტალინს! — დაამთავრა სიტყვა ეთერმა და თვალის დახამხამებაში სტალინთან გაჩნდა.

ბელადმა მას ხელი ჩამოართვა და მამობრივი სიყვარულით თავზე ხელი გადაუსვა. დარბაზში მჭეხარე ტაში გაისმა და ოვეცია გაიმართა.

ანხ. სტალინმა ეთერს ოქროს საათი და პატეფონი გადასცა. სიხარულისა და აღფრთხილებიან ეთერს ლოყები თურაშაული ვაშლივით შესწითლებოდა.

— მეტისმეტი ბედნიერებისა და სიხარულისაგან გული მკერდში არ დგება, ამოვარდნას ლამობს, — უთხრა მან დღევანეტებს, როცა კრემლიდან ბინაში ბრუნდებოდნენ; გზაში ყოველ წუთს სტალინისაგან მიღებულ საათს დასცქეროდა.

ბინაში მისვლისთანავე პატეფონი ააწყა.

— ვენაცვალე ძია სტალინს, ვენაცვალე. — იმეორებს თავისთვის ჩუმად ეთერი. საცქევაო ფირფიტა შეარჩია და, სიხარულის მორევში შეტაპილობა, ყველა დღევანეტი მოხიბლა თავისი ლამაზი ცეკვით. შემდეგ ფრთხილად აიღო ხელში მეორე ფირფიტა — „ზამთარი“ და მზრუნ-

ველობით დაუღო პატეფონს. „ე ფირფიტა განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის, — წაიჩურჩულა ეთერი: ეს სიმღერა მოსწონს ჩვენს ბელადს.“

ეთერმა დღევანეტებთან ერთად დათვალეირა მოსკოვი. ნახა წითელი მოედანი, ლენინის მეგობარი, იმგზავრა მეტროპოლიტენით, მოძრავ კიბეზე-ესკალატორზე უშიშრად შედგა და მეტროს მატარებლისაკენ სწრაფად ჩასრიალდა, იმგზავრა ტროლეიბუსით, იყო პლანეტარში, მუხეუმებში, თეატრებში.

მოსკოვიდან რადიოთი ტფილისში ელაპარაკა თავის დედას:

— ჩემო დედიკო, ბედნიერი ვარ... ბელადმა სტალინმა საათი და პატეფონი მაჩუქა, ხოლო ამხანაგმა კალინინმა საპატია ნიშნის ორდენი დამაბნია მკერდზე. ვეცდები ასევე უფრო უკეთ ვისწავლო, გავამართლო საპატია ნიშანი და ბელადისაგან ნაჩუქარი საათი და პატეფონი. დღეს ბელადმა თავისთან დამიბარა და თავისი გოგონა ნათელა გამაცნო. რომ იცოდე, ჩემო დედიკო, რა კარგი ამხანაგია ნათელა! ისიც ფრადოსანია.

მან მაჩვენა თავისი სათამაშოები, ჩინეთის საინტერესო პატარა ორთქლმავალი, ტიკინები და მითხრა: ძალიან მიყვარს სათამაშოები.

როდესაც ნათელას გამოვეთხოვე, მან მთხოვა, ტფილისში რომ ჩამოვალ, მხურვალე სალაში გადავსცე მის საყვარელ ბებიას.

— ნახვამდის, ჩემო დედიკო, — დაასრულა ეთერმა დედასთან ლაპარაკი და რადიო-მიკროფონი ჩაკეტა.

ბ. ასევე

ზღვა სიხარული თვალგებმა შესვეს
და ნეტარების გიკრთოდა ცრემლი;
როს დღევგატი ვაგონში შეხველ,
როს დღევგატმა იხილე კრემლი.

ხარ ტრიბუნასთან, სიზმრად კი არა, —
ეს სინამდვილე ისე ცხადია,
ვით პიონერის ხმები წყრილა
და ის მიზნები, შენ რომ გწადია.

გულში ლეიოდენ ტკბილი განცდები,
სიხარულისგან ერთობ დღელავდი
და ირხეოდი ზღვა აღტაცებით,
როს ხელს გართმევდა დიდი ბელადი.

გულის სიღრმიდან ამოტანილი
კედლებს მოასკდა ტაში ზანზარით...
კრემლში მზესავით იდგა სტალინი
და სიხარული უზარმაზარი.

ჩვენში ცხოვრება არის დიადი,
არის წარმატატი და საკვირველი...
ბელადს დაჰპირდი: მუდამ ფრიადი
გკონდეს სწავლაში, იყო პირველი.

შენ სიხარულს და ხალისს მოადენი,
გამარჯვებებზე ფიქრებს აშენებ...
დღეს საპატიო ნიშნის ორდენი
შენ გამშვენებს და შენც მას ამშვენებ..

ლ. ტოლსტოის პრევიდიან

მხ. ს. ვაშაშვილი



ლ. ტოლსტოი ახალგაზრდობაში.

თარგმნილი რუსულიდან მპ. ბაბაშვილის მიერ

(ქართულად იბეჭედა პირველად)

ლევ ტოლსტოიმ 1859 წელს გახსნა თავის სოფელ „ისნაია პოლიანაში“ სოფლის სკოლა და ამ სოფლის სკოლისათვის გამოისცა პედაგოგიური ჟურნალი და კიდევ რამდენიმე „ანბანი“.

ამ ჟურნალისთვის და ანბანისთვის თითონ წერდა პატარ-პატარა მოთხრობებს, ზღაპრებს, ზეპირსიტყვაობიდან აგროვებდა სხვადასხვა თქმულებას, იგავეს და სხვა.

გარდა ამ წაწერებისა, რომელიც დაბეჭდილი იყო ზემოსხენებულ ჟურნალში, ახლა ტოლსტოის პრევიდიანში აღმოჩენილა 300 პეტი პატარ-პატარა მოთხრობა, იგანი, ზღაპრები, რომლებიც დღემდე დაუბეჭდავი იყო. იქიდან ვთარგმნე რამდენიმე მოკლე ამბავი.

I

მ მ ე დ ა ქ ა რ ი

მზე და ქარი დანამლავენ: აბა ვინ უფრო მალე გაატიტვლებს კაცსაო?

დაუბერა ქარმა, დაუბერა რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გადაუღელა ტანსაცმელი, ქუდი კინაღამ გადააგლიჯა. კაცმა ტანისამოსი მავრა მოიქირა,

ქუდი თავზე ჩამოიფხატა. ქარმა კაცი ვერ გააშინებულა. ახლა მზემ გააჟიკა თვალები: დააცხუნა, დააცხუნა. კაცმა გულმკერდი გადიღელა, ქუდი ეფეხე გადიღო. მზემ უფროდაუფრო დააქირა კაცს. ის ვასაგრილებლად მთლად გაშინებულა.

II

ქორი და მტრედები

სღია, სღია ქორმა მტრედებს, ვერცერთი ვერ დაიჭირა. გადაწყვიტა მოტყუებით ფონს გასვლიყო: მიფრინდა მტრედების ბინასთან, ახლო ტოტზე დაჯდა და ბაასი დაუწყო: „მე საშინლად მიყვარხართ, ლამაზებო, კარგებო! მოდი, მე თქვენ მეფედ ამირჩიეთ, თქვენთან ვიცხოვრებ, გემთახურებით, გიბატონონებთ, მტრებს არ მოგაკარებთ.“ მტრედები დასთანხმდნენ და ქორი თავის ბინაში შეუშვეს.

შესვლის უმაღლეს ქორი სხვაფრივ ალაპარაკდა: თქვენ ჩემი დარიგება უნდა გესმოდეთო, ჩემ ბრძანებას უნდა ასრულებდეთო, პირველად ყოვლისა მე ყოველდღე თითო-თითო მტრედი უნდა შეეცლაპოო, და ყოველდღე ბღღენიდა ლამაზებს. „რა ექნათ?“—ჩაფიქრდნენ მტრედები.— რათ შემოუშეოთ ჩვენს საბუღარში, რაღას გავაწყობთ, რაღას გავაწყობთო.

III

ჩამორჩენილი გელი

გედები მიფრინავდნენ ცივი ქვეყნიდან თბილი ქვეყნისაკენ. წინ უშველებელი ზღვა ედოთ გადასაფრენი. მიფრინავდნენ, მიფრინავდნენ დღელამე, მეორე დღესაც, მესამე დღესაც. ცაზე სავსე მთავარ იდგა. გედები კარგად ხედავდნენ მთვარის შუქზე მოლაპლაპ ზღვის ზედაპირს, ძლიერ დაილაღნენ ფრთების ქნევით, წელში გაწყდნენ, მაგრამ არ ჩერდებოდნენ. წინ მიფრინავდნენ ხნიერი, ღონიერი გედები, უკან მისდევდნენ უფრო ყვაწვილნი და სუსტნი და სულ უკან მარტო ერთი იყო ჩამორჩენილი, ღონემ უმტყუნა, ფრთებს ვეღარ ძრავდა, ფრთებგაშლილი ძირ-ძირს წამოვიდა და ზღვის ზედაპირზე დაეშვა. ამხანაგებმა ვერც კი შენიშნეს, ისინი სულ მიფრინავდნენ და მიფრინავდნენ. მთვარის შუქზე მათი თეთრი ზოლიდა მოჩანდა. ჩამორჩენილმა ფრთები შეკუმშა, ზღვის ტალღები აქანავებდნენ იმას, წასულთა კვალი ოდნავდა ჩანდა ცის კაბადონზე და მათი ფრთების შრიალ-შრიალი


ძლივდა ისმოდა სუფთა ჰაერში, როდესაც გაქრამათი კვლიდა. დარჩენილმა კისერი უკან გადაიღო, თვალები დახუჭა. არ იძროდა, მხოლოდ ზღვის ღელვა ოდნავ აქანავებდა ზღვის ზედაპირს. გათენებისას მცირე ნიავმა ზღვა შეარხია, წყალი ესხმოდა გედის თეთრ მკერდს შეუყენებლივ, აშფოთებდა. აღმოსავლეთით შუქი აღმოჩნდა, ცაზე ჩაქრენ მთვარე, ვარსკვლავნი. გედმა ამოიფშვინა, კისერი კვლავ წაიგრძედა, ფრთები შეიფრთხილა, გაშალა და ზღვას ასცდა. ნელა, ნელა, ოდნავ აქნევდა ფრთებს, ზღვის ჰაელებს სდებდა, იბოროძიკებდა... მაგრამ თანდათან ღონეს იკრებდა და უფრო მალა-მალა მიფრინავდა და მალე გასცდა ზღვის ჰაელთა საიდუმლოებით სავსე რბევას და ხმაურს.

IV

კურდღელი და კუ

გაეჯიბრნენ ერთმანეთს კურდღელი და კუ. აბა ვინ ვის გაასწრებსო. მანძილად აიღეს ერთი ვერსი. კურდღელი გაიტკა, წამზე გაუსწრო კუს და როცა შუაგზას გავიდა, თქვა: დავისვენებ, რა მეჩქარებაო,

მანამ კუ მოლოდინება, ათჯერ კიდევ გავუსწრებო და დაეძინა. კუ კი შეუჩერებლივ მიდიოდა და მიდიოდა, და როდესაც ის შუაზე მივიდა, კურდღელსაც მან შინ გამოეღვიძა.



ერთად გავიდენ სარჩოს საშოვნელად ლომი, დათვი და მელა. შეკრბეს სარჩო მრავალი. ლომმა უთხრა დათვის: სულ ჩემიაო.

— არაო, — მიუგო დათვმა: ერთად მოვიგეთ, უნდა გავყოთო.

მელამ ჩურჩულით უთხრა დათვის: — ნუ ედავები, დეე, შეჭამოს, ვერ მოერევა, დანარჩენი ჩვენ გავიყოთო. დათვი გაჯიუტდა: არაო, უნდა გავიყოთო. ლომმა დათვის კბილი გაჰკრა, გაგლიჯა. ნადავლი ნახევარიც ვერ შეჭამა, მელიას დარჩა.



ლევ ტოლსტოი 1851 წ. ტფილისში ცხოვრობდა, გერმანელების კოლონიაში, რომელიც მაშინ იწყებოდა ახლანდელი პლენხანოვის პროსპექტიდან. ტოლსტოი წერს: „მშვენიერი ადგილია, მთლად ბაღებში ჩაფლული, ყურძნით, ვაზით სავსე და თავისი მყუდროებით უფრო სოფელს ემსგავსება, ვიდრე ქალაქის უბანს. ორ მშვენიერ სუფთა და ნათელ ოთახში ჭირად ვიხდი მხოლოდ 5 მანეთს და ამასთანავე მუქთად ვსარგებლობ გერმანული ენის პრაქტიკით. აქ არავინ მოდის ჩემთან და მე ვსარგებლობ სრულის თავისუფლებით; ვკითხულობ და ვწერ და მარტობას არ ვგრძნობ“. მაშინ ტოლსტოი 23 წლისა იყო და აქ დაიწყო პირველად წერა თავისი ცნობილი ნაწარმოების: — „ბავშობა“. ტოლსტოი აქებს მაშინდელ ტფილისს: სავსებით განათლებული ქალაქიაო, არის ოპერა და რუსული დრამა, განათლებულნი პირნიც ბლომად არიანო, ტოლსტოი ტფილისში ემზადებოდა ოფიცრობის ჩინის მისღებად და მიიღო კიდევც, წარჩინებით ჩააბარა გამოცდები.



მხ. ი. ქოქიაშვილი

ღავ. შაბათავა

ღღეს მთელი ღღე, საღამომღე, ქღღურტუღღებღა ღღღღანს, ღღღღანს,
ბოღღო მღღკრატღღეს მღღუღავღს, როღღგორღღ წღღღნშიღღ წღღაღღკითღღხავღს!

* * *

ხვღღ ღღღღითაღღ უღღენღღა ღღღღქროღღღებს ბღღღა-ბღღღებს,
ღღღეს კღღ ბღღღღეღღ წღღაღღიწყო, ჩღღმი თღღაღღით ღღღენღღახღღე...

* * *

ეს წღღესი აღღეს: შღღემოღღღგომა როღღცა ღღღღინავღს ზღღამთარ-ზღღაუღღხუღღს,
ის აფღღრიკის სღღივრღღეღღებზე მღღიმღღღერის მღღაშინ მღღზღავღღრუღღს.

* * *

სამღღშობღღლოს კღღ არ რღღიწყოღღებს, როღღს გღღციღღღღღებღა თღღურმე იღღკაღღ,
რღღადღღან ქღღვეწღღად მღღან ჰღღირღღვეღღად ჩღღვენს მღღხარღღში იღღკღღკღღია.

* * *

ახღღო, როღღცა ღღღამეღღებში ტბის ზღღეღღაბღღირს მღღთვარღღე ვერღღცხღღაღღს,
ჩღღვენი სახღღლის ქღღერთან სღღინავღს ჩღღემს მღღეღღობარღღს გღღულთღღეთარ მღღერღღცხღღაღღს...


* * *

ასე ხღღეღღებღა გარღღივრღღაეღღებს შროღღმით, გღღულმღღკერღღღღღღღღღღღღებღით.
სღღურს ამღღრავღღლოს ქღღვეწღღად უღღხეღღად სღღხარღღუღღლის მღღომღღღერღღღები.

* * *

ღღღეს მთეღღი ღღღე, საღღამომღღღე, ქღღღურტუღღღებღა ღღღღანს, ღღღღანს,
ბოღღო მღღკრატღღეს მღღუღავღს, როღღგორღღ წღღღნშიღღ წღღაღღკითღღხავღს.





ადიდებული ნილოსი

უძველეს დროს ეგვიპტელებმა ნილოსის ადიდების ნამდვილი მიზეზები არ იცოდნენ და ბუნების ამ საინტერესო მოვლენას ღვთაებრივ ძალას მიაწერდნენ. ქურუმების¹⁾ ფიქრით არსებობდა ორი ნილოსი: ერთი — მიწიერი, ხილული, მეორე კი ზეციური, უხილავი. მიწიერი ნილოსის სათავეს ზეციური ნილოსი წარმოადგენდა. ზეციური ნილოსი დროგამოშვებით ხან მატულობდა და ხან კლებულობდა. ასევე ემართებოდა მიწიერ ნილოსს. ორივე ნილოსის ადიდებას კი იწვევდა ქალღმერთ იზიდას ცრემლები, რომელიც ყოველწლიურად დასტიროდა თავის დაღუპულ ქმარს ოზირის. ასეთი იყო ქურუმების „ახსნა.“ ამრიგად, ეგვიპტელებისათვის საიდუმლოებით იყო მოცული როგორც ნილოსის ადიდების გამოწვევი ნამდვილი მიზეზები, ისე მისი ფერის ცვლელადობა. ეს საკითხები უცხოელმა მოგზაურებმა გამოიკვლიეს და საფუძვლიანად შეისწავლეს. მდინარე ნილოსის ადიდებას შემდეგი გარემოება იწვევს: თებერვლისა და მარტის თვეებში შუა აფრიკაში ინდოეთის ოკეანედან ქარებს მოაქვთ აუარებელი ორთქლი, რომელიც სქელ ღრუბლებად იკრებება და არემარეს აბინანებს. ბოლოს ამ ღრუბლებიდან, რამდენიმე თვის განმავლობაში, იწყება ტროპიკული წვიმები. მზეც ამ დროს მწვავედ აცხუნებს. აფრიკის მაღალ მთებზე თოვლი სწრაფად იწყებს დნობას და მდინარეებად ეშვება დაბლა.

ერთი მხრივ წვიმების მოვარდნილი ნიაღვრები და მეორე მხრივ მთებიდან დაქანებული მდინარეები იწვევენ ნილოსის ადიდებას. მაგრამ ვიდრე ეს ყოველი მხრიდან მოვარდნილი ნიაღვრები მდინარე ნილოსამდე მიაღწევდნენ, დიდი დრო გადის. ჯერ გზაში მათ ხვდება მრავალი მდინარე, უზარმაზარი ტბები და ჰაობები. ჰაობები იესება მოვარდნილი ნიაღვრებით და გადმოდის ნაპირებზე. მათ უერთდება ადიდებული მდინარეების და ტბების წყლები, ყველა ესენი მოისწრაფიან, ერთიან მდინარე ნილოსს და იწვევენ მის ადიდებას.

თუ შენ, ჩემო მკითხველო, როდისმე ჰაობიან ადგილებში გავივლია, აუცილებლად შეამჩნევდი, რომ მათ მოჰყვ. ნო ფერი დაჰკრავთ და ცუდ სუნს გამოსცემენ. ეს იმიტომ, რომ აუარებელი მცენარე ღვება და ესენი აძლევენ ჰაობს მწვანე ფერს და ცუდ სუნს. ასეთი ჰაობები ცენტრალურ აფრიკაში უამრავია. როგორც ზევით აღვნიშნე, ვიდრე მოვარდნილი წვიმების ნიაღვრები მდინარე ნილოსამდე მიაღწევდნენ, პირველად ამ ჰაობებს ერთვის. აი, სწორედ ეს ჰაობები აძლევენ მდინარე ნილოსს მწვანე ფერს, ცუდ გემოს და ცუდ სუნს. ამ ჰაობებიდან ნილოსს ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში აქვს მწვანე ფერი.

მაგრამ რისაგან ეძლევა ნილოსს 4-5 დღის შემდეგ წითელი ფერი? როგორც უკვე ვიცით, ცენტრალურ აფრიკაში კვლავ შეუჩერებელი მოდის ტრო-

¹⁾ ქურუმი — კერპთმსახური, კერპთაყვანისმცემლთა სასულიერო პირი.

პიკული წვიმები, მთებზედაც თოვლი კვლავ განაგრძობს სწრაფად დნობას. აქედან წარმოშობილი ნიაღვრები ეშვება დაბლა და თან მოაქვს ამ მთების აუარებელი წითელი მიწა. ამ მთებიდან მოტანილი მიწა აძლევს მდინარე ნილოსს სისხლივით წითელ ფერს და სასიამოვნო გემოს. ამ წითელ მიწას მოჰქონდა და მოაქვს ეგვიპტესათვის უდიდესი სარგებლობა. ეს მიწა ისეთი რბილია და ნოყიერი, რომ მასში დათესილი ყოველგვარი მარცვლეულობა ძალიან სწრაფად და უხვად იზრდება. მავალითად, ჰუარის ჩალის სიმაღლე ორნახევარ მეტრს აღწევს და მისი თავთავი სამასზე მეტ მსხვილ მარცვალს შეიცავს. კიტრი ნახევარი მეტრის სიგრძე იზრდება, ნესვი კი კილოგრამზე მეტს იწონის, ყურძნის მტვევანი კილოგრაზე მეტს. ბალახი კაცის სიმაღლე და ხელის სიფართოე იზრდება.

მოსავლის აღებას კი წელიწადში სამჯერ ასწრებენ...

ეგვიპტეში ქალაქები და სოფლები მაღალ ადგილებსა და გორაკებზეა გაშენებული. ეს გასაგებიცაა: ნილოსის ადიდების დროს ეგვიპტეს დაბლობი ადგილები წყლით იფარება. ამ დროს ეგვიპტე განსაკუთრებით იშვიათ სანახაობას წარმოადგენს: ქალაქები და სოფლები ზღვად ქცეულ ნილოსში დიდ და პატარა კუნძულებად მოჩანან.

ნილოსის სიღრმე ადიდების დროს ზოგიერთ ად-

გილას ექვს მეტრზე მეტია. ამ მდგომარეობაში დაბლობებით ორ კვირამდე, შემდეგ კი მთლიანად ყვეს კლებას. მდინარის დაკლების დროს ნაპირებზე აუარებელი თევზი რჩება და კუნძულებში ჰიანტველებით ირევიან. ამ დროს მათ დასაპერად არც ბადეა საჭირო და არც ანკესი. გახარებული ბავშვები მათ პირდაპირ ხელით იჭერენ. ალაგ-ალაგ ძიღამოები თეთრადაა მოფენილი თევზებით და მოსახლეობა მათ აკრეფას ვერ აუღის. ამ დროს მათ დასახარებლად მოსწრაფის უამრავი ფრინველი, იმ დღეებში ნილოსის ნაპირებზე ფრინველთა ზეიმია გამართული...

ნილოსის ადიდება და დაკლება ხუთი ექვსი თვის განმავლობაშია გრძელდება. საბოლოოდ დეკემბერში ვარდება თავის კალაპოტში. მას შემდეგ, რაც ნილოსი კალაპოტში ჩადგება, ეგვიპტე მალე ამწვანებულ და აყვავებულ ქვეყნად იქცევა.

მდინარე ნილოსის ნაპირებზე იზრდება სახელგანთქმული მცენარე პაპირუსი. ამ მცენარეს უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა ეგვიპტელებისათვის, მას მრავალნაირად ხმარობდნენ. ნორჩ პაპირუსის ყლორტებს ერბოში ხრაკედენ და ძალიან გემრიელ საკვებს იკეთებდნენ. უფრო მოზრდილი პაპირუსისაგან აკეთებდნენ შარბათის მსგავს წვესს, რომელსაც სიამოვნებით სვამდნენ, ან ლოტოსის ფქვილში ურევდნენ და ტკბილ ნამცხვრებს აკეთებდნენ. დიდი პაპირუსისა-



მცენარე პაპირუსი

გან იკეთებდენ სხვადასხვა საოჯახო ნივთს. მის ფეს-
ვებს ხმარობდენ საწვავ მასალად — ლითონების გამო-
საღობად. მაგრამ პაპირუსს უფრო სხვათაგან მოჰქონ-
და უდიდესი სარგებლობა. ეგვიპტელები მისგან
აწარმოებდენ ძალიან გამძლე და კარგ საწერ ფურ-
ცლებს. ამჟამად მისი უმეტესი გამოყენება
აქვითი მარცხენი გულს, შემდეგ კრიდენ ვიწრო
ლენტებად. დაკრძალულ ლენტებს აწყობდენ ფიცრებზე,
ზევიდან აღებდენ მძიმე რაიმეს და ამ სახით აშრობ-

დენ მხეზე. გაშრობის შემდეგ ლენტებს ცოთი-
ორზე აწებებდენ და აკეთებდენ ძალიან ხარკულ
ულს. რომ სინესტეს არ გაეფუჭებია, ერთგვარ სი-
ხეში ჟღენთავდენ. ამის შემდეგ პაპირუსის ფურც-
ლები ისეთი გამძლე ხდებოდა, რომ მრავალ საუკუ-
ნეს უძლებდენ და ოდნავადაც არ ზიანდებოდენ.
მღზეუმებში დღესაც იახება პაპირუსები ეგვიპტუ-
რი წარწერებით, რომლებიც სამი-ოთხი ათასი წლი-
სა და საუცხოვოდაა შენახული.

ლოტოსი

ეგვიპტელებისათვის პაპირუსზე არა ნაკლები
სარგებლობა მოჰქონდა მცენარე ლოტოსს. მას უმთა-
ვრესად საკვებად ხმარობდენ, მისგან ამჟამად
სურნელოვან ზეთსაც.


ლოტოსი გარეგნულად საამო შესახებ იყო და
ძალიან ლამაზ ყვავილებს იკეთებდა, მისი ყვავილები
შორიდან ყაყაჩოსა ჰგავდა.

ლოტოსი რამდენიმე ფერისა იყო: ვარდისფერი,
ციცინი, მისი ყვავილები ისხამდა მსხვილ
მარცვლებს, რომლისგანაც ეგვიპტელები იღებდენ

კარგი ხარისხის ფქვილს, ფქვილისგან კი ამჟამად
დენ ძალიან გემრიელ და ნოყიერ ნამცხვარს, რომე-
ლიც საამო სუნს გამოსცემდა. ლოტოსის ფესვებზე
იყო ნაყოფი, რომელიც, როგორც გემოთი, ისე გა-
რეგნულად, ძალიან წააგავდა ვაშლს და ეგვიპტე-
ლებისათვის კარგ სანუკვარს შეადგენდა.

ეს იშვიათი მცენარე ამჟამად თითქმის გამქრა-
ლია ეგვიპტეში, ოდესღაც კი ბარაქიანი ნილოსის
ნაპირები აფერხდებოდა იყო მისი ყვავილებით.





მხ. შ. ბერიტაშვილი

როჭოეზი

შ. თაბუაშვილი

ავესტო იყო. ბორჯომის პლატოს ფიჭვნარი კაცს აბრუებდა. პლატოს ბოლოში მამალულ სოფელ სადგერში¹⁾ საავარაკოდ ჩამოსულნი ღონეს იკრებდნენ, მდინარე ბორჯომულას მორევებში დასრიალებდნენ, კალმახს იჭერდნენ... აკლდათ ერთი რამ: ნადირობა.

ერთხელ ქაქანით მოვარდა იპოლიტე და თქვა:

— ამხანაგებო! ბორჯომიდან ამოივლიან ნაშუადღევს ოთხ სათზე გია და მიშა, როჭოეზზე სანადიროდ მიდიან, ჩვენც წავიდეთ!

გადაწყდა წასვლა.

ტოკავს ვახტანგი—ეს იქნება მისი პირველი ნადირობა, მისი გამოცდა ამ ასპარეზზე... უკვე გვირად ეხატება დღეს იმას თავი, გიმირად, რომელიც ოცს თუ არა, ათ როჭოს მოჰკლავს! როჭო კი მეტად მომხიბლავია, დიდია იგი, ქათმის ოდნეა; მამალი—შავი, დედალი კი თურმე მწყერსა ჰკავს... ფრთხილით რომ წამოფრინდება, მას მიჰყვება ვახტანგის თოფი... ბუჰ!—ძირს ეშვება ერთი... ორი... ათი... ხუთმეტი...

ტკბილმა ოცნებამ გაიტაცა ვახტანგის გული...

— ბა, საქაროდ მოვემხადო!

და დაფათურდა დიდი-პატარა.

მატარებლის მოსვლამის ნახევარი საათი დარჩა უნდა მიუსწრონ როგორმე!

და გარბიან. მთის თხელი ჰაერი სუნთქვას აძნელებს; გზაც, თითქოს ჯიბრზე, დღეს გაზრდილა, დაგრძელებულა...

ერთი საათის შემდეგ ლიბანის აღმართს ორთქლმავალი ქმენით უტყედა, ხან გაჰკვივებდა, ვით ზღა-

¹⁾ სოფელი სადგერი ბორჯომბილიდან ერთი საათის სავალზეა, ბაკურიანის მიმართულებით. მშენიერი საავარაკო აღგოლია.

²⁾ ციხისჯვარი საავარაკო აღგოლია, საკოჭვიდან ოთხ კილომეტრზეა, ბაკურიანიდან კი ცხრაზე. ემოავრესად ბერძენები ცხოვრობენ. მის მახლობადაა მესაქონლეობის ფერმა.

პრული გმირი როსტომი, და იმისი ხმა მთიდან მთაზე გადადიოდა...

აი საკოჭავიცი. აქ ჩამოხტენ, რომ ციხისჯვარი²⁾ გაიარონ და გზა-განავარდნ კოდინისკენ, სადაც, თურმე, ბევრია როჭო.

ირველი—მიდამო მომხიბლველი, მაგრამ დღეს თვალი ვერაფერს ამჩნევს, მხოლოდ გულიღა იხედება და ყველგან როჭო ელანდება.

— ეს რა წყალია?—იკითხა შალვა, ციხისჯვრის შარას რომ დაადგენ მონადირენი.

— ბორჯომულა; ბორჯომბაღში ჩამომდინარე, — პასუხობს გია, და წინ მიდიან ღინჯი ნაბიჯით.





— თივა ბევრია, ფიქრი ნუ გაქვთ, — თქვა იპო-
ლიტემ და თივისაკენ გაეშურა. დანაჩენებზე შეშვს
საძებრად მიროიფანტენ.

სიხელოვანება

მალე გაჩაღდა ცეცხლი. ლიბად თივა დაიგეს,
საბნობას გასწევს ცეცხლის სითბო.
იწყება მონადირული თხრობა-ბაასი.

— ბიჭებო, იცით, რა სულელია როქო? — ამბობს
გია. — ადგებიან და გააკეთებენ მამალი როქოს მსგავს
ფიტულეს, წაიღებენ და იმ ადგილას დაამაგრებენ
ხეზე ან ბალახებში, სადაც როქოები ეგულებათ.
როქოები წამოვლენ და ცნობისმოყვარეობით და-
უწყებენ თვლიერებას ამ ახალ „ამხანაგებს“. მო-
ნადირე იკევა ჩასაფრებული და მხოლოდ მარჯვე
დროს უცდის. რადგან თოფის გასროლის შემდეგ
ეს „ახალმოულნი“ ისევ თივის ადგილას არიან და
გაფრენას არ ფიქრობენ, როქოებაც არხეინად
არიან... მონადირესაც ხოშ ეს უნდა...

— ექმ! აბა მოშა სულ გაწყვეტს როქოს სახსენე-
ბელს, თუ მაგნარი ფიტული იშოვნი! — ლიმილით
თქვა იპოლიტემ...

ტაკუნობს შეშა. ალბური საძოვრები შავად გად-
მოჰყურებენ როქოების სამფლობელოებს... ივანშმეს.
რა უცნაური გემრიელია აქ ყველაფერი! ნავახშმეს
მიწენ.

თივზე წვანან. მიშას ცხვირი მუსიკას უკრავს.
ვიამ მიაკრა მიშას ტუფურკას თეთრი ქაღალდი
ღირდი წარწერით:

„არა ჰკლა, მხოლოდ უბათქუნე!“

* * *

ვათინდა. წამოიშალნენ. შეესიენ ფერდობებს.
— ბუჰ—ბუჰ—ბუჰ! — გავარდა თოფი აქეთ-იქით.
როქო მიფრინავს. დამძარბული აყოლებენ თვალს
მას ყველანი.

— ბუჰ—ბუჰ!
— ბუჰ!
— ბუჰ—ბუჰ!

მთები იტაცებენ თოფის გრიალს.
ბევრი დაიწვა ტყვია-წამალი, მაგრამ შედეგი?
იპოლიტეს ჰხვდა წილად მოკვლა სამი როქოსი,
სხვები კი მხოლოდ ბუზღუნებენ და თან მიზნად ხან
თოფს, ხან ღენტს და უძილობას ასახელებენ.

აი, დადგა სანეტარო წამი: წამოფრინდა როქო
ვახტანგის წინ, გავარდა თოფი და... დაეარდა
როქო!

— ვაშა, ვახტანგ!
— ვაშა, ვაშა!

ნეტავ თუ რამე შეედრება ისეთ სიხარულს, ახალ-
გაზრდის გულს რომ აღელვებს პირველი განცდითი!
ამაყად დაღის მონადირე ნანადირევი!

შალვაშვილ მოკვლა, გიასაც აქვს... იპოლიტე კი

— მიშა, კაცებო რომ დაქლიტე, ის როგორ იყო?
— რას იკრიბებთ! შარშან თექვსმეტი მოკალი...
— კარგი, თუ ძმა ხარ, ცოტა დავიკელი! — უპა-
სუხებებს გია, და ხარხარებენ.

ნამიჯები შარას კამს ხარბად, და ციხისჯვარიც
უქან დარჩა სულ ერთ საათში.

მომიზიბლავია ეს მიდამო: ტყე—სულ ფიქვნარი.
მწვანე ბალახს გააქვს ხახხასი, როგორც კოლინდარს
სადმე ბარად მაისის თევზი. ალბურ საძოვრებს და-
უპყრიათ მალა სერები და თავმომწონედ დასცქე-
რიან ციხისჯვრის ვაკეს.

უცებ ქორს მოჰკრეს თვალი. ამაყად იჯდა და
უშიშრად მიაჩნდა თავი.

რის მაქნისია, მაგრამ მაინც ატოკდა გული: დი-
დი ხანია ყურს არ სმენია თოფის გრიალი, თვალს
არ უხილავს—როგორ ეშვება დაბლა დაქრილი.

და გარბის გია, ეფარება ქეებს და ხან ხეებს, სა-
სროლ მანძილზე რომ მივიდეს შეუმჩნეველი. მზეზე
ხანდახან გაიღვლებს ზაფერი სამარგოლიანი...)

იქვეა თოფმა—და ძირს გდია დაქრილი ქორი...
ლელავს ვახტანგი—ახ, ნეტავი იმას ესროლა! მაგ-
რამ წინ არის სანადირო აურაცხელი.

ბილიკი მარჯვნივ იკლანება მალღ ბალახში.
ირგვლივ სუნი ღდას მათრობელა, ყვავილები კი
ათასგვარნი, თვალის მომპკრელნი, სპარსულ ხალი-
ჩას ამსგავსებენ ამ არემარეს.

მზე ჩაესვენა. ტრიალ მინდორში მოუხდებათ ღა-
მის გათვვა.

*) ზაფერის ფირმის თოფი განთქმულია. „სანადიროლიანი“
ლულევი გაკეთებულია საუკეთესო ფოლადისაგან.

მარჯვობს და მარჯვობს: შვიდი როკოს პატრონი არის და თითო-თითო დაურთავა მან ამხანაგებს, დაასაჩუქრა თოფის უხვად სროლის გმირები.

მიშა კი... მიშა დადიოდა ხელკარიელი.

— რა ტრამბახა ჩენი მიშკა-მიუნხპაუნენი! — თქვა გიამ და წამოიმღერა, წაიკითხა მიშას ზურგზე დიდი წარწერა:

— არა ჰკლა, მხოლოდ უბათქენი!

* * *

კაშკაშა ცას უცნაური დრუბელი გაეკრა. ახლა იპოლიტემ, არ მოეწონა.

— აედრის პირია, ავიჩაროთ, თორემ, ამ მთაში თუ მოგვასწრო, შავ დღეს დაგვყარის.

კიდევ შეათბეს მთის ჰაერი თოფების სროლით, ერთ ქორსაც მისცეს სამუდამო შვების ბარათი და გაეშურნენ ციხისჯვრისკენ ძველი ბილიკით.

— გია, წინ წავალ და შარაზე დაგხედებით სადმე, — ამბობს ვახტანგი და წინ გარბის.

მიდიან, მიდიან. აი შარაზე არის ყველა, — არ ჩანს ვახტანგი. დაიწყო წვიმა. შეაფარეს ხეებში თავი. წვიმა მატულობს. ცა გრუხუნობს, ელავს წამისწამი...

— ვახტაანგ!

— ვახტაანგ!

სტეფანა, ძახილი, თოფის სროლა, — პასუხი არ ჩანს.

დაუშვა, მაგრამ რა დაუშვა! კოკისპირული წვიმა არის. ვარდება მეხი. ტყე უკვე მტრულად იბღვირება... ჩამოწვა ნისლი.

არ ჩანს ვახტანგი, დელავს ყველა, უტოკავთ გული! იქნებ წინ არის?

— იცით, მე წავალ, თუ წინ არის — წამოვიწვევი, ასეთ წვიმაში სადმე იქნება შეფარებული; თუ უკან არის, — თქვენთან მოვა, თქვენ თოფს გაისვრით, და მიგხედებით, რომ მოსულა, — ამბობს შალვა და გარბის ციხისჯვრის მიმართულებით.

ორ წუთში სულ გალუმბულია. მის ხერხემალზე დღე მიდის...

ელავს... გრიანობს... აგერ იელვა ისე, რომ შალვა თითქმის დაბრმავდა, თან ვაისმა ისეთი ჭექა, თბიქოს მის ცხვირწინ ხარბახუნები დაცალეს ერთად: იქვე მახლობლად დაცეა მეხი...

სცივა. კბილები ისეთ დღეშია, რომ წისჭვილის: სარეკელა ვით შედრება.

— ვახტანგ... ვახტანგ... — ელავს აზრი. — სად არის ვახტანგ? უკან? იქ, სადაც ნისლში ორ მეტრზეც კი აღარ ჩანს ალარადერი? იქ, ამ თავისმაში, მარტოდ-მარტო? იქნებ წაიქცა, იქნება ფეხი მოიტეხა, გდია შამბნარში...

და გარბის შალვა...

აი დღე — ბორჯომულას სათავე, აქ რომ კოლო ქვეთად გავა. უცებ გუგუნნი მოიშა უკან. ის იყო ახტა შორე ნაპირზე, და კიდევ მოვარდა წყალი.



მოსკდა მდინარე გააფთრებული, მოდის, ვით თერგი, ღმუის, ღრიალებს, მოაქვს ხეები, აგორებს ლოდებს...

ცაცაცხებს შალვა... გზა მოკრილია. ამხანაგები იმ ნაპირზე მოემწყვედნ ახლა... ვახტანგი? ან კი ცოცხალია? შეძვლებთ კი პოვნას? ვინ რაღას ეტყვის იმის შურას, ცაცას თუ ვერას?!

მდინარე კი ისევ ღმუიდა. უცებ სეტყვა დაუშვა. ჯერ წვილი, შემდეგ კი ცერის სისხო. მოიძრო შალვამ სანადირო ჩანთა და თავზე დაიფარა. ხელებით იქერს, ხელებს ხედება სეტყვა, მაგრამ რას იზამ!

მიაშურა ხეებს. ვარდება მეხი. „თოფი? რკინა ხომ იხიდავს ელექტრობას“ — უნდა გაეცქეს თავის თოფს, გარბის სხვა ადგილისკენ, ზაუერი კი მიყუდებული მიატოვა იმ პირველ ხესთან. სიცივემ აი ტანა. რა ქნას? წავიდეს? სად? ციხისჯვარში?

გადის წუთები, ვით საათები... უცებ... გამოჩნდენ! იქნებ ვახტანგიც მათთან არის?!

არა, არ არის! — ნუთუ ვახტანგი უკან დარჩა, მთაში?

ეს აზრი ახრჩობს ყველას, მიდიან უხმოდ, ვაბრუთუღლინი...

აი ციხისჯვარიც... ნუთუ იქ არ არის? რა უნდა ჰქნას, რქ თუ არ არის?


და წარმოუდგა იმათ სურათი: უკან ბრუნდებიან, მოჰყავთ ციხისჯვრელები, მოდიან კვარებით, ფარნებით, რომ უღრან ტყეში ძებნონ ვახტანგი, თუ მგლეის ლუკმა არ გამხდარა ჯერ საცოდავი...

მაგრამ ეს რაა? კოოპერატივის წინ ხალხია შეჯგუფებული. ვისი ხელია, აგერ მალა რომ ამართა? ვინ უქნევს მათ ხელს?!

— ვახტანგია?!

— ჰა, ვახტანგია?!

და ტოკავს, დელავს მათი გული!



— ის არის, ის!
— შეგირცხვეს თავი: რას დაგვწყვიტე ამდენი ხალხი!

არც ვახტანგია კარგ დღეში: ვალუმპულა, შესცივინია.

— წაივდიეთ საკოპევი! ერთ საათში ჩაელოთ, სიარულში გავხურდებით კიდევ, თორემ აქ რას უნდა ვუტკობოთ, დაწყვიტებით სიცივით.

— კაცო, გვეყინებოთ! იქ მატარებელს უნდა ვუცადოთ სამი საათი...

— გზაზე სადგურების ბოსლებია, იქ შევიაროთ, ცეცხლზე გავშრებით, — ამბობს იპოლიტე...

მიდიან, მიდიან გამალებულნი. საშინელი სურათია: სეტყავს მთლად გაუნადგურებია ქირნახული, ქერი ჩაგებულა, ხეხილი მთლად გაუსყრევიანია... ექვ! აი სერი! ხიდი წაღებულა!! რა ქნან ახლა? პატარაში ავიდნენ?

აქაც იპოლიტე მათი მხსნელი:

— არაფერია, ამხანაგებო! აქ რომ ანდებოდას ამუშავებდნენ, მაშინ რკინისგზის გაყვანა უნდოდათ და ხიდიც ვააყეთეს. იმ ხიდს რა წყალი მისწვდებოდა, — ძალიან მაღალია.

გულზე მოეშვათ. ხუთმეტ წუთში მიადგენ იმ ხიდს.

მრგვალი ძელები... მავარი ხიდი... საქმე კარგადაა, მაგრამ სეტყვა ძეის ამ ძელებზე...
ფეხი?

სხვა გზა არ არის, და ძელიდან ძელზე გადიან... უცებ შენიშნეს: ერთი ძელი აკლია, გადახტომა საჭირო... ქვეშ კი გაცოფებული გრიანებს მდინარე, ლოდს ლოდზე ამტრევს...

ისეუბა მიშა... მიჰყვა გია... ვახტენ დანარჩენებიც...

მიდიან უხმოდ, ფერდაკარგულნი.

კოტაც კიდევ — და ბოსელში შერგეს თავი. ოპ, რა თბილია, რა კარგია!!

— აბა, ცეცხლი, ცეცხლი! ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ!

ავღუშვუნდა ცეცხლი... მიეფიცნენ... ანაორთქლით გაიბურა ფართო ბოსელი...

გათბენ და გაშრენ, მერე კი საკოპევის სადგურს მიაშურეს.

უკვე დამაშა. ბნელში ტაბათი მიდიოდნენ... აუსრიოდა ფეხი მიშას, დაეჭანა თავდაღმართში და გაიშხლართა...

ღამის პირველ საათზე მიადწიეს იმათ სადგურში ასე დასრულდა ნადირობა ახალგაზრდების...

დ ე დ ე ბ უ ბ ა

მიმპრალი

მარტიამ სასტუმროში დააბინავა მთის ნუკრები. თბილი და მსუყე ვაშლის შემდეგ უცებ ჩაიძინათ სუფთა ლოჯინში. საკოდავი ბაჟმები ისე დალილიყვნენ, რომ გათენებამდე ერთ მხარეზე ეძინათ. დილით მშვიდად გამოიღვიძეს.

ფანჯრებს ბრწყინვალე მზე მოსდგომოდა, და ფართე მინები წითლად ბრწყინებულა.

— მზე აქაც ლამაზი ყოფილა! — სიხარულით წამოიქანა ლელამ და უფრო გოცდა, როცა ფანჯარაში გაიხედა.

მთელი კახეთი ყვავილებში ჩამალულიყო. ყველა ეზოში ხეხილები ყვავდა, ვახები იფოთლებოდა, ვარდები იკოვრებოდა. ქუჩებში მზიარული ხალხი მოძრაობდა. სკოლებიდან მოწავეების კისკისი ისმოდა. დარბაზში ხელისნები მუშაობდნენ. სამკვლელოში მკვლელები ჰედავდენ და ქახაჭუხი მთელ კუთხეს აყრუებდა.

ლელა ბავშვური გარინდებით უტკერდა ყველაფერს. უხაროდა და მოსწონდა ყველაფერი, მაგრამ მაინც ავანდებოდა მთებში გარეკილი ბატკნების პეტელი: „პე-ე... პე-ე...“

ბუბა დინჯად უმხერდა თელავს. მოსწონდა ბუბას ეს ცხოვრება. აქ გოგო-ბიჭები ერთად მზიარულობდნენ. წუხელ მარტიასთან ივანშემეს ერთ სუფრაზე და აიან უფრო ვახაბრა ბუბა: მოაგონდა, რომ ხევსურეთში ქალები მამაკაცების სუფრაზე არ ჰამენ პურს.

— ლელა, დღეიდან ჩვენც ამ ცხოვრების მონაწილე ვიქნებით. ხომ მოგწონს?

— აპარეკაც რომ აქ იყოს, მაშინ უკეთესი იქნებოდა, — ნაღვლიანი ხმით წარმოთქვა ლელამ.

— ახლა ცხვრებიც ხომ არ გინდა მოგირეკო? მერე ძაღლები მოგინდებოდა, მერე მატყლი და საჩეჩელი! — ახარხარდა ბუბა.

— ჩემი სალამური? — იყვირა ლელამ.

ატირდა ლელა. მან თითქოს გადაწყვიტა ცხვრებსაც მისწორებოდა, დედასაც, აპარეკასაც, მაგრამ სალამური? მისი პატარა პოეტური გულის მეტადიუმულე სალამური რომ დარჩა მთებში?

სლუქუნებს ლელა...

— სალამური რომ გეყვარდეს, არც დაგაეწყვიტებოდა, — მიმართა ბუბამ.

* *

მესამე დღეს თელავის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, ბუბასა და ლელაზე ლაპარაკობდნენ. თელავის ვახუშთი მოთავსებული იყო ბუბასა და ლელას სურათში. გოგონებს ეცვათ რუხი საჩოხე შალის კაბები, ლაზლის წინდები და ცხვრის ტყავისაგან შეკერილი თათები.

სურათის ქვევით აღნიშნული იყო: „თელავის კომკავშირის ორგანიზაციაში არწივის ბუდიდან ჩამოფრინდა მორი ბარტყი. კომკავშირის ორგანიზაციამ და აღმასკომმა გადაწყვიტეს აღზარდონ ეს ბარტყი“

კები. ესენი არიან ქიტცესა აფთიაურის ქალიშვილები ბუბა და ლელა“.

იქვე მოყვანილი იყო უფროსი დის ბუბას საუბარი გაზეთის რედაქტორთან:

— რათ გამოიპარეთ მშობლების ოჯახიდან? ცუდად გეპყრობოდათ ღელა-მამა?

— არა, ცუდად არ გვეპყრობოდენ, ჩვენ სწავლა გვინდა.

— ხომ გახსნა მთავრობამ თქვენს თემში სკოლა?

— იქ ჩემი ძმა აპარეკა შეიყვანეს.

— რამ გამოიწვია თქვენი სწავლის სურვილი?

— თემში სკოლის გახსნამ. ჩვენც გვინდოდა სკოლაში შესვლა, მაგრამ „ვის გაუგონია ქალის სწავლა“, გაწყურნენ ხეცსურები. ჩვენი სოფლიდან სამი ბიჭი დადის სკოლაში.

— კითხვა იცით?

— არა.

— რამდენი წელიწადი გინდათ ისწავლოთ?

— სანამ არ შეძლებთ სხეუბსაც ვასწავლოთ „სწავლა“.

— შემდეგ რა მიზანი გაქვთ დასახული?

— მთებში დაბრუნდეთ და ქალიშვილებს ვსწავლით „სწავლაი“. არ მოგვწონს მთებში ქალების წესი.

— შენი პატარა და ლელაც შენი აზრის არის?

— ჩემი აზრის არის, ლელას ძალიან მოსწონს წითელი ყელსახვევი.

ბუბა და ლელა თელავის საბავშვო სახლში დააბინავეს. მათ შეუყურეს კრელი ქიშმირის კაბები, ფეხზე კობტა ფეხსაცმელი და ღია ფერის წინდები ჩააცვეს.

— ან თქვენ ცხვრებისა და ბოსლის სუნი აღარ გეჩნებათ, — სიცილით უთხრა მათ მასწავლებელმა, როცა წითელ ყელსახვევს ახვევდა ბავშვებს ყელზე, შემდეგ კი ჰკითხა:

— გოგონებო, იცით, ეს წითელი ყელსახვევი რას ნიშნავს?

— არ ვიცით, — მიუგო ბუბამ.

— წითელი ფერი ნიშნავს პროლეტარიატის სახლში ამოვლებულს, ეს მოკლე ყური ნიშნავს პიონერს, ეს უგრძესი უური კომკავშირის, ეს უკანა ყური კომპარტისა. როცა ყელსახვევს წინ შეიკრავთ, — ეს კვანძი სამთა კავშირის ნიშანია.

— გაიგეთ?

— გაიგეთ, მასწავლებლო!

ერთხელად წამოიძახეს ბუბამ და ლელამ და მზიარულები შეერივნენ იქვე მოთამაშე ბავშვების ჯგუფს.

ბუბას თვალბიდან ჩანჭქერივით მოქუსს სიხარული. მას მოსწონს ახალი ცხოვრება.

ლელა კი ხშირად ჩამოჯდება განმარტოებით რომელიმე ხის ძირას და ნაღვლიანი ძვლებით გაიყურება მთებისაკენ. დაბლა ალაზნის ველია გაშლილი.



მილოდენ მამა ქიტცესა ღელა ხორა.

მალა — კავკასიონის ქედ. ბეგრი სილამაზა და ბეგრი ოცნება.

* *

ნაზიური, ამინდის შემდეგ კახეთის ცაზე მოჯარებულმა ღრუბლებმა წეროებივით დაიგრძელეს კისერი და მზეს მრესივინ ჩასაკლავად. მუსკ ცრემლები მოწყდა და ხეების ტოტებს მივივებდ ჩამოვიკვია.

მდლოზე მარგალიტები დაცვივდა. ბავშვები თავს უშვებდენ მისის სასიამოვნო წვიმას, ტიტველი ფეხებით დასრიალებდენ მდლოზე და მღეროდენ:

„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა,
მთელი მიწდორი დანაპა...
დანამა, დანამა, დანამა...
ალაზნის ველი დანამა...“

ბავშვები მღეროდენ და ცელქობდენ. ბუბა დათვის ბელივით დაძუნძულდება ჩია ტანის ბავშვებში. ბუბას უყვარდა ახალი ამხანაგები, და ბუბაც უყვარდა ყველას. ის ჩქარა შეეჩვია კახეთის მიდამოებს.

ლელა ფანჯრის რაფაზე დაბჯინილი უშვებდა კავკასიონის კალთებს, სადაც ბავშვსავით თეთრი ნისლის ქულები თათებაშვირილი ცხვრებივით აყუდებულნიყვენ ჩამავალი მზის შუქზე. ლელას ისევ მთებისაკენ იტაცებდა ოცნება. ლელას ისევ უყვარდა მთებში ატეხილი ქექაქუხილი და ნილერის გრიალი, როგორც ამავე მთებში გაშლილი მდლო და არწივ-ს ფრთების შრიალი. ზამთარიც უდიდსიმომოვნებას ჰგვირდა ლელას. თეთრად დაზვინული მთები უსახლვრო სილამაზით ესატებოდა. ლელა უშვებდა კავკასიონის ქედებში გაბნეულ თეთრ ბუმბულებს და ოცნებობდა ცისა და მიწის სიღიაღებზე. უცებ ქუჩის გზხედა და განცვიფრდა: მოულოდნელად თვალის მოპკრა ქუჩის ბოლოზე მომავალ შუაზნის ხეცსურს და უნებლიედ წამოიძახა: „მ.მ.ა ქიტცესა!“. მაგრამ თვალს არ სჯეროდა, სანამ ქიტცესამ ახლოს არ ჩაუარა ფანჯარას. ახლა კი დარწმუნდა ლელა, რომ ის ხეცსური მართლაც მამამისი იყო. წინ ქიტცესა მოდიოდა და, მთიელთა ჩვეულები-ამებრ, ორ ნაბიჯზე



მისდევდა ცოლი ხორა. ლელა აკანკალებული გა-
ვარდა დღერფენში ბუბასთან.

— ბუბა, მამა ჭიტესა და დედა ხორა ჩამოვიდენ!
რა უნდა ვქნათ ახლა? ხომ შოგვკლავს მამა ჭიტესა!
ბუბა, შევეხვეწოთ, გვაპატიონ დანაშაული!

— არა, ტყულად ფიქრობ, ლელა, მე უკან აღარ
დავბრუნდები, შენც წუ დაბრუნდები, ჩემო დაცო,
ნუ დაბრუნდები... ლელა, ორივემ მტკიცედ ვთქვათ,
რომ არ გვინდა მთებში დაბრუნება. შენ ხომ ჩემი
დაცო ხარ! მე მინდა შენც ჩემთან ისწავლო. ხომ
გაიგე, გუშინ რომ წაგვიციხთა მასწავლებელმა ძია
ლავინის სიტყვება: სწავლა და სწავლობ, შენ კი უს-
წავლენი დარჩები მთებში.

— არა, არ დავბრუნდები,—გაბზარული ხნით
წ ილულლულა ლელამ, ისევე ფანჯრის რ-ფაზე გადაე-
ყულა და გაფითრებულმა გახედა მშობლების გზას.
ხორა დიდხანს იდგა გაქვავებული კარგად მოზრ-
დილი შენობის კბიხთან. ფეხზე სველი ქალამნები
ეცევა, თასმებშემოკერილი, თავსაკრები ჩამოწოწო-
ლი ჰქონდა და მხრები სველი. კოპებშეკრული მის-
ჩერებოდა კარებს, საიდანაც ჭიტესა უნდა გამო-
სულიყო. ჭიტესა ოთახში იდგა წითელ მაუღადაკარულ
მაგიდასთან და კომკავშირის კომიტეტის მდივანს
ელოდებოდა. სველი კრაველის ქუდსა და მხრებზე
ორთქლი ასლიოდა.

მეორე ოთახიდან მარტია გამოვიდა. უტხო ქალი
რომ შენიშნა, ჰკითხა:

— თქვენ ვინა ხართ? ფშვიდან ჩამოხვედით?
— არა,—ამაყად უპასუხა ხორამ,—თუ ქართველი
ხარ, უნდა იცოდეს ფშვი ვარ, თუშ, თუ ხევსურ.
მარტია მიხვდა: ასეთი პასუხი მხოლოდ ხევსურ-
მა ქალებმა იცინან.

— რისთვის ჩამოსულხარ?— შეეკითხა ბოლოს მარ-
ტია.

— შეიღებს ვეძებთ.
მარტიამ იმ წამსვე გაიფიქრა—ეს ქალი ბუბასა
და ლელას დედაო.

— შემობრძანდით, შემობრძანდით, მოვილაპარა-
კოთ. თქვენი შეიღები ჩვენთან არიან.

— ჩემი შეიღებო...—დინჯად წარმოთქვა ხორამ
და აღარ დაფიქრებულა, გაბედული ნაბიჯით შევი-
და ოთახში. ჭიტესა წითელ მაგიდასთან იჯდა. ხო-
რა თავს წაადგა ჭიტესას და ორ ნაბიჯზე გაჩერდა.

— ახლავე მოიყვანე თქვენს შეიღებს,—ლინლით
თქვა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა. ამ დროს
კარებში მარტია გამოჩნდა. მარტიას შემოჰყვენ ბუ-
ბა, ლელა, ქალაქის სასკოლო განყოფილების გამგე
და მასწავლებელი.

ჭიტესას ბრახი მოერია, ფეხზე წამოიჭრა და ხან-
ჯალზე გაიკრა ხელი.

— მოვკლავ მაგ მგლის ლეკვებს! ქალამი როგორ
უნდა გაბედოს ამისთანა ამბები?!

აყვირდა ჭიტესა, ხორა კი მოთმინებით უმხერდა
შიშისაგან სახეგაფითრებულ ბავშვებს.

— მოკვლის ნებას არ მოგცემთ, ამხანაგო ქიტე-
სა!—მტკიცედ უპასუხა გაფითრებულ ქიტესას უკან
კავშირის კომიტეტის მდივანმა.—ეს ზაქარია ჩვენთან
თან მოვიდენ და დღეს ჩვენ ვართ ამათი პატრონი.

ჭიტესა უფრო გაცეცხლდა.

— როგორ? თქვენ...
— დიახ, ჩვენ,—განავრძო განათლების განყოფი-
ლების გამგემ,—ჩვენ გავზრდით ამ ბავშვებს, ვას-
წავლით და წასწავლთ დაგიბრუნებთ. ახლა წაბრძან-
დით შინ და მოისვენეთ. ბავშვებს არ გავატანთ.

— რათ უნდა ქალაის სწავლა! ცხორი ვინ მომ-
წყესოს, შეშა ვინ მოზიდოს, შალი ვინ მოქსოვოს,
ბოსელს ვინ მოუაროს... ქალამი უნდა იმუშაოს, მზი-
თევი მოიშალოს, ვაეი აირჩიოს... პატისასანი ქა-
ლაი სახლში უნდა იჯდეს.

ქალამი როგორ უნდა გაბედოს ამისთანა ამბავი?
მოვკლავ მაგ მგლის ლეკვებს, მოვკლავ!—ისევე ყვირო-
და ჭიტესა და მაინც თავისას იმეორებდა. ყოველ
წუთს ხანჯალზე იტაკებდა ხელს და ღრილობდა:
მოვკლავ... მოვკლავ...

— ეს სულ ბუბაია დამანაშავე,—იყვირა ჭიტესამ,
იმიშულა ხანჯალი და გაექანა ბუბასკენ, მაგრამ ხო-
რა სასწრაფოდ გადაუდგა ჭიტესას. ბუბას და
ლელას ხუთი დამცველი ადგა თავზე, და ჭიტესა
დარწმუნდა, რომ ყვირილით არაფერი გამოვიდოდა.

— გეყოფათ, ნუ ღრილობთ, ამხანაგო!—წამო-
ვარდა ადგილიდან კომკავშირის კომიტეტის მდივან-
ი და დაუყვირა თავგასულ ხევსურს,—დაწყნარდით
და დავეკითხეთ ბუბასა და ლელას, მათ თუ უნდათ—
წამოვიტოთ თქვითან, და თუ უნდათ ჩვენთან დარ-
ჩებიან. აბა, გვოგონებო, თქვენ თვითონ გადაწყვი-
ტეთ, როგორ გინდათ?

ბუბამ გაბედულად წამოიწია წინ და მტკიცედ წარ-
მოთქვა:

— ჩვენ გადაწყვიტეთ მაშინ, როცა წამოვიდით
სახლიდან, რომ ცოცხალი არ დავბრუნდებით მიებ-
ში. ჩვენ სწავლა გვინდა, მამა ჭიტესა, სწავლა... ახ-
ლა შენა სთქვი, ლელა, შენც ხომ გინდა სწავლა?

— ხო, მეც მინდა სწავლა,—ჩვეულებრივი მერყე-
ვი ხნით წამოიღერა ლელამ და დედა ხორას ისე
მიაპყრა თვალები, თითქოს გული კვლავ მიებისაკენ
ეწეოდა.

— მაშ, თქვე უნამუსო ცინგლებო, მშობლების
სიტყვა აღარ არის თქვენთვის სავალდებულო?!—
შეუტრია ახლა შეიღებს ხორამ.

— არა!—მტკიცედ თქვა ბუბამ, სტაცა ხელი ლე-
ლას და ზურგი შეატყია მოძალედ მოსულ მშობლებს.
ხორა დააშტერდა შეიღებს. ეუტხოვა ქალაის ასე-
თი უტიფრობა. ბოლოს ორივე ხელი მიუშვარა და
კვლავ აღდგებოდა თქვა:

— წყეული იყავ, უნამუსო გომბიო, და შენც,
ლელა! არასოდეს აღარ ამოხვიდეთ მთას!
შებრუნდა ხორა კარებისაკენ და ჭიტესაც უძლე-
რად ხელმბდაშვებული ვაჟყვა ხორას.



იწიშვლა ქიტესამ ხანჯალი და გაეშურა ბუბასაკენ.

გარეთ უკვე დამე იყო. ნაწვიმარ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ქუჩებს ელნათურები ანათებდა. ხორა ბალში შევიდა და გულმწეწუხებული ჩამოჯდა ხის ძირას, სანამ ქიტესა მგზავრებს მონახავდა. ღე-ლაედა და იკრუნჩხებოდა დედის გული. ხორას უტეხ მოაგონდა ლელას სალამური, ამოიღო უბიდან და კრემლმორეულმა დახედა. „ეს მაინც ვადამეგდო ლელასათვის“ — უნებლიეთ გაიფიქრა დედის მწუხარე გულში.

საბაეშო სახლიდან ბავშვების მზიარული სიცილი მოისმოდა. ისინი ვახშმისათვის ემზადებოდნენ. არ მზიარულობდნენ მხოლოდ ბუბა და ლელა. ბუბა მასწავლებელს ესაუბრებოდა სასადილოში, ლელა კი ისევ ფანჯრის რაფაზე ეყუდა და გარინდული გაიყურებოდა გზისკენ, საითკენაც ქიტესა და ხორა უნდა წასულიყვნენ. ლელა შეკრთა, ბალიდან სალამურის ხმა შემოესმა. მთელი არსებით ათრთოლდა, თითქოს ვილაკამ ხელი წამოავლო, აიწია და გადახტა, ბალის კარი გაიბრინა და დიდი ხის ძირას განმარტოებით ჩამოეჯდარ დედას კისერზე მოეხვია. სალამური ვამოსტაკა და გულში ჩაიკრა, თან ტირიდა და თან ეკითხებოდა:

— როგორ ვაიგო მამა ქიტესამ ჩვენ ამბავი?

— ჩვენ რომ თავგანწირულინი გეძებდიო, მასწავლებელმა გაზეთი მიიღო, სადაც თქვენ ხარით დახატული, — თქვა ხორამ და აქვითინდა.

მთავრე ფოთლებში ამოიფრცხლა. ქიტესა, ხორა და ლელა მგზავრებთან ერთად გაუღდენ გზას მთებისაკენ, ხოლო ბუბა დაღვრემილი იდგა ფანჯარასთან და ახლა იმაზე წუხდა, რომ თემის მასწავლებლებ-

ლი არ გაეცა შერცხვენილ ლელას და არ ეთქვა წერილის შესახებ არაფერი.

* *

შემოდგომა დაიწყო. აპარეკა სკოლაში წავიდა. ახლა მარტო ლელა მწყესავდა ცხვარს. ხორა მთელი დღე ზამთრისათვის შალისა და წინდების მომზადებას უნდებოდა. ქიტესა სოფელში დადიოდა საქმეებზე. აქა-იქ ნათიბი ყანები ყვითელ ატლასივით ეფინა სერებზე. ზაფხული იპარებოდა, და ლელას ნახ გულში დარდები იზრდებოდა. ლელა ვერ შრიგდებოდა ბუბას მოშორებას, მაგრამ დედა ხორასთან ვერ ბედავდა ბუბას სახელის ხსენებას. ბუბა უკვე ამორიცხული იყო აფთიაურის საგვარეულოდან. მთელი დღე ქვაზე ჩამომჯდარი სალამურს აკენესებდა. კეთილი გოგონა ხანდახან ისე წარმოიდგენდა, თითქოს ბუბას ესმოდა მისი სალამურის ტკბილი ძახილი და აჰა, ბუბაც ამოდიოდა ხევიდან ხევით და უახლოვდებოდა ლელას. ენატრებოდა დაია. სიტყვებს რითმებდ აწყობდა და იხებირებდა. ეხვეწებოდა აპარეკას ჩუმად დაეწერა წერილი და მიეცა მასწავლებლისათვის ბუბასთან გასაგზავნად.

სალამოს ქრაქის სინათლზე აპარეკა შეუღდა წერილის წერას. ლელამ რითმები გამოუგონა სიტყვებს:

„წერილსა მოგწერ ბუბასა,
ჩიტს გამოვებამ ფრთასაო,
მოგიკითხავ და გაკოცებ
ჩემს საყვარელსა დასაო,
შუშნოდ ყოფნა გამწყინდა,

ალარ ვანტები ცხვარსაო,
მთას შემოდგომა აყვითლდა,
ფოთლები მოაქვს ქარსაო,
ნეტა შინ ამოხვიდოდე,
გავიხსნი გულის კარსაო...

და ბუბა წერილს და კითხულობდა.

„საწყალი ლელა“ — წაიჭურჭულეს თავისკენს ბუბა და გული სტკივა, რომ მისმა დაიამყრეს მისი მან ნახა ზაფხულის ექსტურსიებზე.

* *

ბუბა კიდევ არ იყო გამორკეველი იმისაგან, რაც ზაფხულის განმავლობაში ნახა. მის მესხიერებაში მირახრახებდნენ მატარებლები, მიბლაოდნენ ავტომობილები, იშლებოდა ტფილისის ქუჩები ათასნაირი ხალხით, უკრავდა სიმფონიური ორკესტრი და კიდევ... ვინ მოთვლის, რამდენი რამ ავანდებოდა ბუბას, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად ახსოვდა ის ზღაპრული ცეცხლი, რომელიც ბორჯომის შუშის ქარხანაში ნახა: გრძელ სასულე რკინებზე წამოცმული ცეცხლის პატარა ბუშტები უცებ როგორ იბერებოდა, ცეცხლის ბოთლებად იქცეოდა და სწრაფად მიქროდა ხელიდან ხელში. ჯერ კიდევ ამ უცნაურ სანახაობაზე ფიქრობდა ბუბა, როცა ლელასაგან წერილი მიიღო. ძალიან ვაუზარდა, ამხანაგებს წაუუკითხა, მასწავლებელსაც წააკითხა და სასთუმალს შემოიღო. ყოველ საღამოს ძილის წინ ხსნი-

გავიდა ამის შემდეგ ორი წელიწადი. აი, მესამე სასწავლო წელიც დაიწყო. სკოლის წინ ხეცსურები მოგროვილან. მასწავლებელი ლაპარაკობს სკოლის გაფართოებაზე. დასმულია საკითხი: გოგონებიც უნდა შეიყვანონ სკოლაში. მაგრამ ხეცსურების უმრავლესობა წინააღმდეგია: მაშინ გამოგვიკეტეთ ოჯახიო, — ჩოჩქოლებენ ისინი. ქიტესამ თვალები მოიფშვნიტა, წამწამებზე შემოლამებული ნისლი მითებში გაფანტა, და თითქოს ქიტესას თვალებიდან მზე ამობრწყინდა.

— აბა, ბრძანე, ქიტესა, რა აზრისა ხარ, ბრძანე, შენი ქალიშვილი შემოგყავს სკოლაში თუ არა? — უკანასკნელად შეეკითხა მასწავლებელი ქიტესას.

— შემომყავი, მასწავლებელო, რა გქნა, ქალაისაც უნდა თურმე სწავლაი. მარტო ლელაი ხომ არ დარჩება უსწავლელი?

შრიაროსანი გოგონა

ვახ. კპტრიაშვილი

სავაზაფხულო ყვავილს ჰგავდი,
გიშრილვებდა კაბა სოსანი,
როცა ტრიბუნის პირისპირ წარდექ
სახემციანარი ფრიალოსანი.

გული გიცემდა აღლევებული
და სალი ხედვა გქონდა მახვილი,
შენ ტრიბუნიდან მოგვესალომე და...
შავი თვალები გქონდა დახრილი.

მე მახარებდა სახე მეტყველი
და მაჭეზებდა სწავლის ხალისი,
აწორადლებულ ლურჯ ფარდებიდან
შენი ძახილი მკვეთრად გაისმის.

„სწავლა და სწავლა, მასებო, წინ, წინ“ —
გვიანდერძებდა დიდი ლენინი,
გამოიჭედოს ახალი ძალა,
ახალ ცხოვრებით გამობრძმედილი!“

შენ გიბორავადა გული პატარა,
აუტუენებდი გიშრისფერ თვალებს,
მოულოდნელად მოსწყდი ტრიბუნას
და ლურჯ ფარდებში გადაიმაღე.

იმავე წაშში დარბაზს მოესმა
მქუხარე, მძლავრი ხანგრძლივი ტაში,
შენ ლურჯ ფარდებში გადაიმაღე
და სიყვარული დატოვე ხალხში...

დიდხანს მიდიოდენ. გენრი ისე დაიქანცა, რომ
ლონე აღარ ჰყოფნიდა ფეხი ვადედეგა. დიკმა გენრი
მზარზე შეისვია და დააწყნარა სხვადასხვა მომზიბლავი
ამბით; ასე მივიდენ ერთი უზარმაზარი სახლის კარ-
თან. დიკმა დარეკა. მალე გამოვიდა „პირატეში“ უცხო
კაცი. ამ კაცმა სწრაფად შეუშვა გაშტერებული და
ჯიჯოტი ბავშვი და რკინის კარი მაშინვე მიხურა.
დღეი არწმუნებდა, დედასთან ერთად ახლავე დე-
ბრუნდებო, მაგრამ გენრი მიხვდა ყველაფერს, და
მთელ თავის სიცოცხლემი პირველად იგრძნო სრული
მარტობის საშინელება. ეს იყო პირველი მწუხარ-
ება, რომელიც გენრიმ შეიგნო.

საშინელი სახლი, რომელშიდაც მოხვდა გენრი,
იყო უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი. პირველ დღე-
ებში ბავშვი საათობით ტროდა და ამით იქარებდა
დარდას.

თავშესაფარზე გენრი ასე მოგვეთხრობს: „ჩვენ,
თავშესაფარის ბავშვები, ვიმყოფებოდით შავკანიანი
მონების მფლობარებაში; ზედამხედველი არ გვზო-
გავდა; ცემა, სულ უზარალო მიზეზის გამო, სეტყვა-
სავით მოდიოდა. ხშირად არც კი გვეძმოდა რისთ-
ვის გვეჯიდენ. ყოველი ჩვენგანისთვის ხელით ცემა
უფრო სასურველი იყო, ვიდრე შოლტით, სახაზავითა
და ჯოხით. ზედამხედველი შეუწყნარებელი იყო და
მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როდესაც ხელი სრუ-
ლიად დაეღლებოდა, ანდა მაშინ, როდესაც მთელი
ჩვენი სხეული დალილავდებოდა და დაწყულდებო-
ბოდა“.

„მასოვს ჩემი პირველი დასჯა, — ამბობს სტენლი. —
დამრიგებელმა წავიკითხა ერთი თავი ბიბლიიდან
დაძინების წინ და შეუბრადა მითხარა: რა ერქვა მას,
ვინც აუხსნა სიზმრები ფარაონსო.

—ოფისი, — ვუპასუხე მე.
—ვინ?
მე გავემეორე.
—შენ ვინდა თქვა: იოსებ? — გამისწორა მან.
—დიახ, იოფისი.

მე არ მესმოდა ჩემი შეცთობა. ის საშინლად გაბ-
რანდა, აიღო ხელში ახალი შოლტი და მიბრძანა
გამეხადა. მე ვავშემდი, არ შემიძლო გავგინდო-
ლიყავი და სულ სხვადასხვა გრძნობას განვიცდიდი:
საშინელებას, გაჭირვებას და აღშფოთებას. მაშინ ის
მომვარდა, გაკოფებულმა ჩამომგლოჯა ტანსაცმელი
და დამიწყო საშინლად ცემა, რამაც მალე წამაქ-
ცია. ასეთი შემთხვევა ჩვეულებრივი იყო თავშე-
საფარში“.

თავშესაფარში ოცდაათი ბიჭი იყო; ამ ვეებერ-
თელა ქვის სახლის ოცდაათი ტყვე, მთელ ქვეყანას
ჩამოშორებული, ყველასაგან დავიწყებული, ჭუჭყიანი,
ქანცკამოლეული, არათუ იდებდა მონაწილეობას სა-
ზოგადოებრივ ცხოვრებაში, არამედ არც კი იცო-
დენ, რა ხდებოდა სკოლის კედლებს იქით.

თავშესაფარის ერთდეროვან ცხოვრებაში მხოლოდ
წლის დროის შეცვლას შეჭონდა სხვადასხვაობა.

მთელი გულისყური მიქცეული ჰქონდა წარსულსა და
მოსალოდნელ გაწყევლას.
გენრის არ ჰქონდა ის სასიხარულო დღესი, რო-
მელსაც განიცდიდენ ამხანაგები შორეულების მო-
სვლის დროს.

ერთხელ, როდესაც გენრი უკვე 12 წლისა იყო,
შეტყობინეს, რომ მასთან მოვიდა დედა ორი ბავ-
შვით; რაც უფრო მეტი იყო სიხარული, რომ მასაც
ჰყავს დედა და და-ძმა, იმდენად მეტი იყო სასო-
წარკვეთა. როგორც გენრი გვიამბობს, „შემოვიდა
მალღამე ქალი; შავი თმა უკან ჰქონდა შეკრული“.
მისმა სასტიკმა ჩაშტერებამ ბავშვი დააბნია და გაა-
შეშა. მაშინვე გაახსენდა ზეპირად ნასწავლი „პატივ-
ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ
გვეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა შენა“.
ბავშვმა მაშინვე იგრძნო, რომ არც სიყვარული და
არც პატივისცემა ამ ქალისა მას არ შეუძლია.

ოცნება, რომ დედას ალერსით ჩახუტებოდა, უაზ-
რობად ეჩვენა. მან ვერ შეძლო ადგილიდან დაძვრა.
დედა დიდხანს არ დარჩენილა; თავშესაფარში მან
დატოვა გენრის და (მამის მზრით). დასთან დაახ-
ლოვება გენრიმ ვერ შეძლო, რადგან თავშესაფარში
ბიჭებისა და გოგონების ერთმანეთში შერევა სასტი-
კად აკრძალული იყო.

ერთადერთი, რაც მისცა გენრის თავშესაფარმა,
ეს იყო მცირეოდენი ცოდნა, რომლის მიღებაც
მოახერხა მან, თუმცა იქ სწავლა ძლიერ ცუდად იყო
დაკეტილი.

გენრი აღვილდ ითვისებდა ყველაფერს, რასაც
კი ასწავლიდენ; კლასში პირველ მოწაფედ ითვლე-
ბოდა. განსაკუთრებული ნიჭი გამოიჩინა ხატვაში,
მაგრამ ესეც შემთხვევით მოხდა, „სახელოვანი“ სტუმ-
რის მეოხებით.

სკოლის დასათვალიერებლად მოსულმა ეპისკოპოსმა
ბავშვებს აჩუქა სობორის სურათები. გენრიმ სინჯა
მათი ვადახატვა და კარგი გამოუვიდა. ამის შემდეგ
ეპისკოპოსის დამ გენრის აჩუქა ფერადი ფანქრები
და რვეული. თავისუფალ დროს გენრი სიამოვნებით
ატარებდა ხატვას.

დიდ ყურადღებას თავის ნიჭისადმი გენრი თავ-
შესაფარში ვერ ხედავდა. მხოლოდ სკოლის დღესას-
წაულზე, რომელიც ყოველ წელს იმართებოდა, გენ-
რის ანდობდენ გუნდის ხელმძღვანელობას და დეკ-
ლამაციას. მაშინდელი სახელმწიფო სკოლა ცდილობ-
და მხოლოდ „პატივცემულ მზრუნველთათვის“ ეჩვენ-
ებია ბავშვების ცოდნა, ისიც უმეტესად საღვთო
სჯულში. ბავშვების აზროვნება, რომელიც ნელნელა
ვითარღლებოდა და ახალ-ახალ კითხვებს აყენებდა,
დაუქმყოფილებელი რჩებოდა.

თავშესაფარიდან სასწავლებლად წასული ამხანაგების
შესახებ გენრი ხშირად ფიქრობდა, თუ რა მოელო-
დათ მათ შემდგომ. გენრის ძლიერმა და დამოუკი-
დებლად ბუნებამ დიდხანს ვერ გაუძლო თავშესაფარ-
ში არსებულ ძალადობისა და დევნის სისტემას,

ბავშვების თავმოყვარეობის დამციკრებას. მეტად საყუ-
რადღებოა ის გარემოება, რომლის გამოც დატოვა
გენრიმ თავშესაფარი: სკოლისათვის ნაყიდი ფიჭვის
მაგილა რომელიღაც მოწაფეს დაეთაქუნა. დამრი-
გებელი გაყოფდა.

— ვინ არის დამნაშავე? — დაიყვია მან.
ბავშვებმა არ იცოდენ. დამრიგებელმა ბრძანა
ტატი გაეხადათ.

დაიწყო ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი ყვირილი,
კრმლები, თხოვნა. წინით გამოვლტვა გენრის ყოველ-
თვის შიშსა და უბედურებას აგრძნობინებდა, ახლა
თი გაქვავებული იდგა. როდესაც დამრიგებელი მიუ-
ბრუნდა და ბიროტად ჩაუსისინა დაწეპიო, გენრი
იმდენად აღშფოთდა, რომ თავისივე გამბედაობით
გაკვირვებულმა დაიკვირა: „არაფრისათვის!“ და მა-
შინვე იგრძნო, რომ სამშნლად ჩაჰკრეს გულში. გენ-
რი სიამზე დაეცა. პირველ წუთში გრძობა დაკარ-
გა, მაგრამ მალე გონს მოვიდა და, რაც ძალი და
ღონე ჰქონდა, ჰკრა აღმზრდელს ფეხი სათვალევში.
სათვალეები დაიმტვრა, აღმზრდელი დაეცა, გენრი
თი გაცოფებული ეცა შოლტს და ცემა დაუწყო უძ-
რავად შროლოდ აღმზრდელს. რამდენიმე წუთის შემ-
დეგ გენრი სრულიად მოიქანცა და შოლოდ მაშინ
მიხვდა, თუ რა ჩაიდინა.

მოწაფეებმა მოისაზრეს, უკეთესია დამრიგებელი
კლასიდან წაიყვანოთ და ამიტომ მის ოთახში
მიიყვანეს, კარი დაუკეტეს და უკან დაბრუნდენ.

ყველანი აღუღებულნი იყვნენ, მაგრამ შიში დამ-
რიგებლისადმი უკვე გაქრა. ყველა მიხვდა, რომ
ახლა არცერთი მათგანი ხმამაშუღლებლივ აღარ და-
წეებოდა ვასაშოლტავად.

— იქნება მოკვდა? — შფოთავდა გენრი, მაგრამ ამბა-
ნავებისაგან გაიგო თუ არა დამრიგებელი გამოფ-
ხიხლდა და პირს იბანსო, იმაზე დაიწყო ფიჭვი, თუ
რა მოჰყებოდა ამ ამბავს.

საზარელი იყო თავშესაფარში დარჩენა და სას-
ტიკი სასჯელის მოლოდინი. ერთადერთი გამოსავალი
იყო გაქცევა.

ამბანავებთან მცირე თათბირის შემდეგ გენრიმ
მტკიცედ გადაწყვიტა გაქცეულიყო.

სისხლის პირიდან ჩამობანა მოიმიზეხა და ეზოში
გავარდა. ერთი ამბანავი თან გაჰყვა. ორივე ვადა-
ოცდა ქვის მაღალ კედელზე, რომ უკიდვარს შემორ-
ტეშიდა ეზოს; ორივე მირბოდა უკანმოუხედავად.
რა მოელოდათ მომავალში? ამაზე არცერთი არ
ფიჭობდა ამ წამში. ორივე ხარბად სუნთქვდა
მინდვრის სუფთა ჰაერს, ორივე გრძობდა, რომ
ახალი, ბედნიერი და თავისუფალი სიცოცხლის მიჯ-
ნაზე იდგენ.

მაგრამ სიხარულის გრძობა მალე შეიცვალა უი-
მედლობისა და შეშფოთების გრძობით; თავშესაფარ-
ის ფორმა, რომელიც ეცვათ ბავშვებს, მათ რაღაც
დამნაშავეს დაღს აჩნევდა. ისინი ცდილობდენ და-
მალოდენ ხალხს, დადიოდენ ვიწრო ბილიკებით, სა-


ღამოს კი თავი შეაფარეს ნახევრად დახვრულ საო-
დაფის ბუხარს. ცუდი მოპყრობით დასწმენდნის
შეწყო ბავშვებს ერთხარად ეშინოდათ დასწმენ-
ა ადამიანების და ღამით მრჩენებების. მხოლოდ ზიჯ-
რაზე, ერთმანეთთან ჩაუტყეულთ, ჩაეძინათ მავა-
რი ძილთ.

ვალეძებისა ორივეს ძლიერ მოშივდა. საჭირო
გახდა ადამიანებისადმი შიშის დაძლევა და რისივე
შოვნა. შარავზზე გავიდენ და მოკრძალებით სთხოვეს
ერთი ნაქერი პური ქალს, რომელიც თავის სახლის
წინ სარეცხს რეცხავდა. ქალმა ისინი ოთახში შეიყ-
ვანა, გემრიელად გაუმასპინძლდა და მიუღერსა
კიდევ. ახალი ენერგიით ვაუდგენ ბავშვები გზას.

კიდევ ერთი ღლის მოგზაურობის შემდეგ მათ
მიადწიეს ქალაქ ბემბინგს, სადაც ცხოვრობდა გენ-
რის ამბანავის მოხეს დედა.

მდიდრულად მოწყობილი მალაზიები ბავშვების
ყურადღებას იპყრობდა: გულბრყვილოდ შეხარო-
დენ მალაზიის ნოქტებს და დარწმუნებული იყვნენ,
რომ ყველა ნოქარი სარგებლობს მალაზიის ფან-
ჯრებში გამოწყობილი საქონლით.

მოხეს დედა ცხოვრობდა პატარა შესახვევის ერთ
დიდ ნაკრისფერ სახლში; შვილის დანახვისთანავე
ქალი მივარდა მოხეს და დაუწყო ვამშავებით კოც-
ნა. გენრი გაშტერებული უყურებდა: მას უნებურად
გახსენდა თავის დედასთან შეხვედრა.



გენრი ახალ ორღენში.



ჭამის შემდეგ მოხეს დედამ თანაგრძობით გაიპოვიანათ. მათ, თუ რატომ დატოვეს თავშესაფარი და როდესაც გაიყო გენრის ვინაობა, თქვა, რომ იცნობს გენრის აქვე ახლოს მცხოვრებ ნათესავებს. მისივე რჩევით გენრი მეორე დღეს ნათესავების საძებროდ გაემართა.

არც ბაბუამ (მამის მხრით) და არც გამდიდრებულმა ბიძებმა არ ისურვეს უპატრონო ბავშვზე ზრუნვა. ახლა მხოლოდ ბიძაშვილის, სოფლის მასწავლებელ ოუენის იმედითაა დარჩა.

ოუენმა პირველ ყოვლისა გამოჰქოხა გენრის სკოლის საგნები და კმაყოფილი დარჩა კარგი პასუხით. ის დაპირდა აეყვანა სკოლაში სხვადასხვა საქმის გასაკეთებლად, რისთვისაც აღუთქვა სასმელი, საჭმელი, ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. მაგრამ გენრის თავიდანვე ჩაქმა-დახურმა მან არ ისურვა; სანამ გენრი დაიწყებდა სამსახურს, ოუენმა მოსთხოვა ერთი თვით მამიდასთან წასულიყო სოფელში და იქ შრომით დაემთხურებინა ფული ხიერიანი ტანის მოხერხებას.

მეორე ოუენი (ასე ერქვა გენრის მამიდას) აქმევდა და უკერავდა გენრის, გენრი კი ასრულებდა სოფლის სხვადასხვა სამუშაოს.

გენრი დღითიღვე გრძობდა, რომ ეს ხალხი მისთვის უცხო იყო და მხოლოდ ლუკმა პურისათვის განიცდიდა დამცირებას. განუწყვეტელი საყვედურები, რომლითაც ავებდნენ გენრის არა მარტო მამიდას, არამედ მისი მეზობლებიც; სტანჯავდა მგძობრივ ბავშვს. ბოლოს ერთმა თევზც გაიარა, და მამიდამ გენრი სკოლაში წაიყვანა ოუენთან.

ბავშვს იმედი ჰქონდა, რომ სკოლაში მისთვის ახალი ცხოვრება დაიწყებოდა. ის გულმოდგინედ ალაგებდა კლასებს, იცავდა წესრიგს საკლასო ოთახში, მთელი ძალ-ღონით ცდილობდა დასწეოდა ამხანაგებს, რომლებმაც ბევრად მეტი იცოდნენ. ოუენს დიდებოდა ბიძისათვისა და ოუენის ნათესავების წინაშე. მეგობრები გენრის არ ჰყავდა, რადგან ამხანაგები მის ისე ექცეოდნენ, როგორც დებალ არსებას, რაც ყველაზე მეტად კაწრავდა გენრის თავმოყვარობას... თავშესაფარშიც კი გენრი არ გრძობდა ასეთ მარტოობას, როგორც ამ სკოლაში: იქ ყველაზე ერთნაირად იყვნენ დამცირებულნი. რაც დრო მიდიოდა, ოუენი ცდილობდა მეტი მიზეზი ეპოვა შენიშვნის მისაცემად. გენრის ცრემლები მის აღშფოთებას იწვევდა, მღუშარე მორჩილება კი საშინელ მძინვარებას. თავმოყვარე გენრის სტანჯავდა ოუენის გაუთვებელი დაცინვა და უხეში განება. მხოლოდ სწავლის სურვილი და სრული უმწეობა აჩერებდა, რომ ხელმეორედ გაქცეულიყო. დაუსრულებელი შენიშვნები, გინება და დაცინვა უკარავდა ხალხს, შესაძლებლობას ართმევდა მეცადინეობას

გულმოდგინედ მოჰკიდებოდა. თვითონ მასაც კი ვერ უნებოდა—მართლაც ჩლუნგი და უნიკალური უნარი. ცხარე თვის შემდეგ გენრი ისევ სოფელში გავაზუნეს.

ცხოვრება უფრო უსიხარულო გახდა და ისე ეტყობოდა, რომ უკეთესი არაფერი იყო მოსალოდნელი. მხოლოდ ცხერის ფარასთან ერთად მინდორ-ველებში, საყვარელ კლდე-ღრეში ხეტიალის დროს აიფრებოდა გენრის სინამდვილე; მისი ოცნება მიჭროდა სადღაც შორს, მზიარული სათავეადან-სავლო ცხოვრებისაკენ. როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა მას ჯერ კიდევ თავშესაფარში.

მეორეჯერ დიდხანს აღარ მოუხდა გენრის მიყრუებულ სოფელში ცხოვრება: სტუმრად ჩამოსულმა მეორე მამიდამ ის ლიევიპულში წაიყვანა.

თავის სიცოცხლეში პირველად ნახა გენრიმ დიდი ზღვის პირას მდებარე ნავსადგურიანი ქალაქი; ნაძებისა და საორთქლე მილების მთელმა ტყემ, ნავსადგურის ხაურმა და გრიალმა, ყოველ წუთში ყოველ ქუჩაზე მოსიარულე უამრავმა ხალხმა უფროად გააშურა და შეაფთოთა ბავშვი, მაგრამ მამიდისა და ბიძის ალერსმა გენრი მალე დაამშვიდა და მიჩნეა ამ ამბავს; პირველ ხანებში მთელი დღეები დაეხეტებოდა გენრი ქალაქის სათავალიერებლად და სამუშაოს საძებრად.

მუშაობა აუცილებელი იყო. გენრი ამას გრძობდა არა მარტო იმიტომ, რომ ხელდაედა რა გაკირვებას განიცდიდნენ ბიძა და მამიდა, როგორ აგირავებდნენ უკანასკნელ ნივთებს, არამედ იმიტომ, რომ გენრის უნდოდა დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ბიძა ყოველგვარად შეეცადა გენრისთვის სადმე სამუშაო ეშოვნა, მაგრამ ცდამ უშედეგად ჩაიარა; გენრი პირდაპირ შედიოდა მაღასიგებში და სთხოვდა ბიჭად დამიყენეთო.

როგორცაღ ბედმა გაუღიმა და ერთხელ, ჩვეულებრივი უარის მაგივრად, ერთ მეწყერიმალნე ვაჭართან იშოვა ადგილი; ხუთი შილინგი¹⁾ დაუნიშნეს კვირაში.

ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ამ ადგილისთვის თავი დაენებებინა; შემდეგ დაიწყო ისევ ადგილის ძებნა. უარი, ათასგვარი იმედი და იმედის გაკრუება, შეგლა კი არსად იყო: არც სახელმწიფო, არც რომელიმე ორგანიზაცია არ დაეძებდა მოზარდი ბავშვის ბედს.

ბევრი მარცხის შემდეგ გენრი ბიჭად დადგა ხორცის ღუქანში, დოკების²⁾ ახლოს.

გენრის იმედი—სამსახური დამოუკიდებლობას შემძენსო, არ გამართლდა. ნახევრად მძიერი არსებობა, 14 საათი განუწყვეტელი მუშაობა, ნოქრების გინება და ვირილი, —აი რა მისცა გენრის ახალმა სამსახურმა.

მალე უდიდესი ვარდატეხა მოხდა გენრის ცხოვრებაში.

ერთხელ გენრიმ წაიღო სურსათი გემ „ვიინდერ-მერზე“, რომელიც ახალ ორღანში მიდიოდა. გემის კაპიტანმა შეამჩნია, თუ რა განცვიფრე-

1. ქალაქი ინგლისში.
2. 50 კაპ. უდრის ერთი შილინგი.
3. დოკი—გემების შესაკეთებელი სახელოსნო.

ბითა და ინტერესით ათვალთვრებდა გენრი კაიუტას და შესთავაზა დამდგარიყო კაიუტის იუნგად. ჯამაგირად 5 დოლარს შეჰპირდა კვირაში და ტანსაცმელს.

გენრი დაუფიქრებელი დათანხმდა.

ბიძა ტომს გენრის ამერიკაში წასვლის შესახებ ჯერ გაგონებაც არ უნდოდა, მაგრამ როდესაც გენრიმ სერიოზულად განუცხადა: წასვლა მინდა, ვინაიდან

ლივერპულში ვერაფერს მივღწეო, ბიძამ დაუთმო; სამი დღის შემდეგ „ვინდერმერს“ მიჰყავდა გენრი ახალ ორლიანში. აი დოკების ანძების მესერიც უკან დარჩა, სადაც გენრის ხშირად უნახავს გემები, რომელნიც მიემართებოდნენ მისთვის გაუგონარ ქალაქებში. ახლა მის წინ იყო თვალუწვდენელი ოკეანე ახალი ცხოვრებითა და მომავლით.

ბაყაყებმა გააჩიეს მავარაბელი

6. ქოჩიაშვილი

საკმაოდ ხშირი მოვლენაა ცხოველების გადასახლება. გვალვა, წყალდიდობა და საკვების უქონლობა იწვევს მათ გადასახლებას, ამ რამდენიმე წლის წინათ ყირიმში, ფეოდაოსის მახლობლად, ასეთი ამბავი მოხდა: ჩქარი მატარებელი მიჭრადა. უცებ შეანელა ორთქლმავალმა სვლა და მერე გაჩერდა კიდევ. მგზავრები დაინტერესდნენ — ნეტა რა მოხდაო.

იკით რა მოხდა? ბაყაყებმა გააჩერეს მატარებელი.

იმ მიდამოებში ჭოზი იყო, სადაც აუარებელი ბაყაყი იცოდა. ჭოზი თანდათან შრებოდა. ბაყაყებმა გადაწყვიტეს გადასახლებულიყვნენ. დაიძრა ურიცხვი ბაყაყი. რკინისგზის ლიანდაგი ერთ კილომეტრზე სულ ბაყაყებით აივსო. ჩქარი მატარებელი რამდენიმე საათს იცდიდა — როდის გაივლიან ბაყაყები და გზას გახსნიანო.

1928 წელს ლაზლანდიაში დიდი ზამთარი იყო. თოვლი მოყინა, და ირმებმა ვეღარ შეძლეს თოვლქვეშ საკვების შოვნა. მაშინ 30000

ირემი დაიძრა, — არ სურდათ შიმშილით მომკვდარიყვნენ. მათ მთლად ერთიან გაანადგურეს ლაზლანდიელების მიერ ძროხებისათვის დამზადებული თივა.

1928 წელს (სამხრეთ აფრიკაში) რამდენიმე ათათასი გნუ გადასახლდა ახალ ადგილებში. იმავე წელს აღმოსავლეთ აფრიკაში მოხდა ზებერებისა და ანტილოპების გადასახლება. იკით, რამოდენა იყო ეს ჯოგი? სიგანით 10 მილი, სიგრძით — 30 მილი!

ინგლისში ადიდდა მდ. ლეა. ამან გამოიწვია ვირთაგვების გადასახლება. იმდენი ვირთაგვა იყო, რომ შეშინებული ცხოველები და ადამიანები გარბოდნენ. რვა ცხენი შეჰკამეს მათ.

საბკოთა კავშირში, ურალსა და ჩრდილოეთის მხარეში, ხშირია ცუცვების გადასახლება. ციყვები არ უშინდებიან უზარმაზარ მღინარებებსაც. მაგ. მდ. მუზენის განი 600 მეტრს უდრის,



გადასახლებული ტყეები კი გადახტენ ამ მდინარეში და გატურეს.

საინტერესო სანახაია ცხოველების გადასახლება, მაგრამ კრუანტელის მომგვრელი არიან

ქვეწარმავალი — ხანდახან რამდენიმე ოჯახის გველი დაიყრის თავს და ახალ ადგილებში უშურბს...



შურთხი და ჯიხვი

ზამთარში ცუდ დღეში ვარდებიან სუსტი ფრინველები და ცხოველები და ისინი კლილობენ ძლიერი მეზობლის ახლოს იყონ. საბჭოთა კავშირში ჩრდილოეთით, ტუნდრაში, ერთად ცხოვრობენ ირმები და კაკები. აბა რა აქვთ მათ საერთო? ირმები ჩლიქებით გადაყრ-გადმოყრიან თოვლს, ხავს გამოაჩენენ და ჰამენ. იქვე არიან კაკებიც — ისინი ხომ თვითონ ვერ შეძლებენ თოვლის გადაყრ-გადმოყრას, ირმების ნასუფრალზე კი საკვებს შოულობენ. კურდღლებსაც არ შორდებიან კაკები: კურდღლია ჯეჯილს ჰამს,

რისთვისაც თოვლი უნდა გადაყარ-გადმოყაროს, და კაკებიც ირგებს ცოტა რამეს.

საქართველოს მთებში ერთად ცხოვრობენ შურთხები და ჯიხვები. შურთხი მთის ინდაურია, ძალიან ფრთხილი ფრინველია. როგორც კი შემჩნევს საფრთხეს, მაშინვე დაუსტვენს. ჯიხვებმა იციან, რომ ეს სტვენა საფრთხის ნიშანია და გარბიან, რომ თავს უშველონ.

ხანდახან მთებში თოვლის ზევი ჩამოწვება. აქ კი ვეღარ შევლის შურთხი თავის მეზობელს, და ბევრი ცხოველი იღუპება თოვლქვეშ.



სამოცარი ხმეზი



არის ერთგვარი ხე, რომელსაც სეკვოია ეწოდება. იცით, რა წინაა ეს ხე?

ქრისტეფორე კოლუმბმა ამერიკის მიწაწყალზე რომ დაადგა ფეხი, სეკვოია მაშინ იყო... 3000 წლის.

რას იტყვით, დიდხანს გაუძლია, არა?

მაგრამ ნუ გაიოცებთ — სეკვიას ასაკი სასაცილოა მეორე ხის ასაკთან შედარებით — ეს ხე ცოცხლობს... 40.000 წელს. ამ ხეს ტაკსოდია ჰქვია.

რ ე ბ უ ს ი

აბ					უღაპხოი ჩაიხი რკაჯუი
1					
გვის მსაპე ჭიტი		10			
ბ		დ		ს	შაკვო- ჩითობის კანეშენი

რეფესი შედგინა ტფილისის მე-8 სკოლის მე-6 კლასის მოწვევებ — გულიკო ლოდობეჩიძემ

ფასი 50 კპპ.

36-170
ქართული
ბიბლიოთეკა